ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

საორტული გაზეთი | ხუთშაბათი 12 სექტემბერი 2002 №172 (1694) | ფასი 50 თეთრი


## ნაართვი მშიერ ლომს ლუკმა! მოუგე ბრაზილიას ბრაზილიაში



1998 წლის 30 მაისი. საქართველო — რუსეთი. ამხანაგური 1:1.
რუსეთთან რომ საქმე გაქვს, ამხანაგობიდან ომამდე ერთი ნაბიჯია



ინტერვიუ მსოფლიოს ჩემპიონ
ელდარ კურტანიძესთან იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

# საქართველო — რუსეთი
## ომიც და თამაშიც

გუშინ ერთი წელი გასრულდა ამერიკული ტრაგედიიდან და წინა ჩემპიონთა ლიგის დაწყებიდან. გუშინვე რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს დასჯით დაემუქრა. რუსები, როცა არ გვემუქრებიან, ყუმბარებს მაშინაც არ გვაკლებენ და დამუქრებულზე რას იზამენ, ვინ იტყვის. პოლიტიკურ და სამხედრო მუქარაზე პასუხის გაცემა მთავრობის საქმეა, თუმც საკითხავი ის არის, როგორ მოახერხებენ — აქამდე ერთხელაც ვერ შეძლეს.

ფეხბურთზე ვთქვათ. დღეს 12 სექტემბერია ანუ ზუსტად ერთი თვე დარჩა საქართველო — რუსეთის მატჩამდე. რუსეთის ნაკრები საქართველოში, ცხადია, მუქარით ჩამოდის. პასუხი გასაცემია, თუმცა აქაც საკითხავია, ვინ და როგორ მოახერხებს: ფედერაციას, მწვრთნელებს და ნაკრების ფეხბურთელებს ღირსეული პასუხი რუსეთზე ბევრად სუსტი გუნდებისთვისაც ვერ გაუციათ. ამდენი უპასუხო მუქარა ერს თავმოყვარეობას ულახავს. რედაქციაში ყოველდღე რეკავს ხალხი და კითხულობს: ესენი რუსეთთანაც შვეიცარიულად აპირებენ თამაშს? სამწუხაროა, რომ ამ კითხვის დასმისას ქომაგის ხმაში იმედის ნატამალიც არ იგრძნობა. ფაქტობრივად, ისინი არც კითხულობენ, ამბობენ იმას, რაშიც დარწმუნებულები არიან.

მართლაც და, როგორ აპირებს საქართველოს ნაკრები რუსეთთან თამაშს? თურქეთისა და შვეიცარიის მერე, ეჭვი კი გვაქვს, როგორც აპირებს, მაგრამ ჯობდა, ნაკრების მწვრთნელისგანაც მიგვეღო პასუხი.

თუ სათქმელი არაფერი აქვს? ალექსანდრე ჩივაძე თბილისში კი დაბრუნდა, მაგრამ ჟურნალისტებთან საუბარს, როგორც ყოველთვის, თავი აარიდა — ქომაგს შვეიცარიული ბოლმა ჯერ არ განელებია.

სამაგიეროდ, ენაწყლიანი კაცი გამოდგა ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკარტი. შაბათის მერე ბრიტანული პრესა მისი კომენტარებითაა აჭრელებული. მაკარტის გუშინ ჩვენც შევეხმიანეთ. გვითხრა, რუსები დუბლინში უეჭველად უნდა დავამარცხოთო, ჩვენი ნაკრების თაობაზე კი გვთხოვა, კომენტარს ჯერ ნუ მომთხოვთ, შვეიცარია — საქართველოს მატჩის ჩანაწერს რომ ვნახავ, მერე გიპასუხებთო. ეჭვი გვაქვს, მაკარტიმ ზრდილობის გამო არ გვითხრა პირდაპირ, რასაც ფიქრობდა, რადგან BBC-ს კორესპონდენტს განუცხადა, რუსეთთან საპასუხო მატჩამდე დანარჩენი სამივე მეტოქე დამარცხებული გვეყოლებაო.

სხვათა შორის, ირლანდიის ნაკრებს მთელი 17 წელია, ოთხი ბურთი არ გაეშვა და ამდენი რუსული გოლი ნამდვილი კოშმარი იყო. მიუხედავად ამისა, მიკ მაკარტის გამოსაჩენი პირი მაინც აქვს.

ევროპას კი რუსის არც მოლოდინი აქვს და არც მუქარისა ეშინია — უბრალოდ, ვერ დაემუქრება და იმიტომ. ძველი დრო წავიდა. ძველი დრო მხოლოდ ჩვენთან დარჩა.

იმ ლალ ევროპაში კი გუშინ გვარიანი ამბები მოხდა:

პრემიერლიგის ლიდერი „ტოტენჰემი" ორი ბურთით იგებდა და წააგო;

„მანჩესტერ იუნაიტედი" შინ „ბოლტონთან" დამარცხდა;

„ბარსელონა" ესპანეთის თასიდან მესამე დივიზიონის გუნდმა დაიფრინა;

შტეფან ეფენბერგმა პირველი ვოლფსბურგული შეაგდო.

...რუსეთი კი მოდის. ვეჭვობთ, ქომაგი ბოთლებს იმარაგებს, ფედერაცია უეჭველად დაცვას გაიძლიერებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰანზა — ლევერკუზენი. ლუსიოს თავურს როსტოკელმა რადე პრიცამ თვალიღა გააყოლა



კაიზერსლაუტერნი — არმინია. მასპინძელთა მეკარე გეორგ კოხმა ხელით თამაში არ ინდომა, ბურთი თავით მოიგერია



მანჩესტერ იუნ. — ბოლტონი. რუუდ ვან ნისტელროის საქმე თავში ხელის საცემად გაუხდა



ლილი — პსჟ. მასპინძლები რონალდინიოზე სამნი ერთზე წავიდნენ დაწააქციეს

## გერმანია

**ბუნდესლიგა. IV ტური**

ვოლფსბურგი 2:1 ჰამბურგი
ჰანოვერი 1:3 კოტბუსი
ჰანზა 1:3 ლევერკუზენი
შტუტგარტი 1:1 შალკე
კაიზერსლაუტერნი 1:1 არმინია

**II ბუნდესლიგა. IV ტური**

ფრაიბურგი 2:1 ლიუბეკი
ზანქტ პაული 7:1 ბრაუნშვაიგი
რუიტლინგენი 0:1 უნიონი
ობერჰაუზენი 1:0 მაინცი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

დრეზდენი 1:3 ვერდერი (მ)

## ინგლისი

**პრემიერლიგა. V ტური**

ასტონ ვილა 2:0 ჩარლტონი
ფულჰემი 3:2 ტოტენჰემი
საუთჰემპტონი 1:0 ევერტონი
ვესტ ჰემი 0:1 ვესტ ბრომვიჩი
ბლექბერნი 2:3 ჩელსი
ლივერპული 2:2 ბირმინგემი
მანჩესტერ იუნ. 0:1 ბოლტონი
ნიუკასლი 0:2 ლიდსი

**ლიგის თასი. I ეტაპი**

ბოსტონი 1:5 კარდიფი
ბრაიტონი 2:1დ.დ. (ხ) ექსეტერი
კოვენტრი 3:0 კოლჩესტერი
მაკლსფილდი 4:1დ.დ. (ხ) ბარნსლი
ნოტინგემი 4:0 კიდერმინსტერი
პრესტონი 2:1დ.დ. (ხ) სკანთორპი
შეფილდ უენსდეი 1:0 როჩდეილი
სუონსი 2:3 ვულვერჰემპტონი
სუინდონი 1:2დ.დ. (0:0) უიკომბი

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. VI ტური**

ნიცა 2:0 მარსელი
აიაჩო 0:0 მონპელიე
ოსერი 1:0 ბასტია
ბორდო 1:0 ტრუა
ლე ავრი 1:2 გენგამი
ლილი 2:1 პსჟ
მონაკო 2:1 ნანტი
რენი 2:2 სოშო
სტრასბური 1:1 სედანი

**II დივიზიონი. VII ტური**

ტულუზი 1:0 სენტ ეტიენი
ამიენი 3:0 ვალანსი
კლერმონი 3:1 ნანსი
გრენობლი 2:2 კაენი
გენიონი 2:2 კრეტეი
ლავალი 1:0 შატორუ
მეცი 2:0 ვასკიალი
რეიმსი 0:0 ბოვე

## ფინეთი

**თასის მეოთხედფინალი**

მიუპა 2:2დ.დ. (პენ. 5:6, ხ) ალიანსი
გნისტანი 2:3დ.დ. (2:2) ლაჰტი
ჰაკა 5:0 როვანიემი
ჰიკ (მ) 1:3 იარო

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. VI ტური**

რეინჯერსი 2:0 ჰართსი
აბერდინი 1:2 დანდი იუნ.
დანდი 2:1 ლივინგსტონი
ჰიბერნიანი 1:4 დანფერმლაინი
კილმარნოკი 1:0 პარტიკი

**ლიგის თასი. II ეტაპი**

სტირლინგი 3:3დ.დ. (პენ. 4:2, 2:2) სტენჰაუსმუირი

## დანია

**სუპერლიგა. VII ტური**

ესბიერგი 3:0 კოპენჰაგენი
აკადემისკი 2:0 ფარუმი
კიოგე 2:3 მიდტიულანდი
ოდენსე 3:0 ოლბორგი
სილკებორგი 1:1 ვიბორგი
ორჰუსი 2:2 ბრონდბიუ

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა. IX ტური**

პაშინგი 3:1 აუსტრია
ზალცბურგი 1:3 ბრეგენცი
კერნტენი 2:2 შტურმი
გრაცერი 2:3 ადმირა
რაპიდი 0:0 რიდი

## შვეიცარია

**A ჯგუფი. XI ტური**

ბაზელი 7:1 ვილი
ლუცერნი 0:1 ქსამაქსი
იანგ ბოისი 4:2 სერვეტი
სენტ გალენი 2:3 გრასჰოპერი
ციურიხი 1:0 დელემონი

**B ჯგუფი. XI ტური**

ბელინცონა 3:0 ბადენი
ლოზანა 2:0 სიონი
შაფჰაუზენი 2:1 კრიენსი
ვადუცი 0:4 ივერდონი
ვინტერთური 0:1 ლუგანო
ვოლენი 0:1 კონკორდია

## რუსეთი

**პრემიერლიგა**
**XXIII ტური**

შინიკი 1:0 ურალანი
როსტსელმაში 1:1 ალანია
კრილია სოვეტოვი 1:0 სატურნი
ანჟი 0:1 სოკოლი
როტორი 0:0 ტორპედო ზილ
ცსკა 2:3 დინამო

## შვედეთი

**XIX ტური**

ჰალმსტადი 1:1 ჰამარბი
მალმიო 0:2 ჰელსინგბორგი
იორგრიო 0:3 იურგორდენი

## ჩეხეთი

**თასის I ეტაპი**

ბრევნოვი 0:2 ხომუტოვი
პლუჩინი 1:4 ბანიკი
პრანიჩე 0:2 სიგმა
რუდნიჩე 0:4 იაბლონეცი
სვიტავი 2:5 სლავია

## ნორვეგია

**გადადებული მატჩი**

ბრანი 3:1 სტარტი

**თასის მეოთხედფინალი**

ლინი 1:1 სტაბეკი

## იტალია

**თასის III ეტაპი**

ტრევიზო 1:1 ვერონა
ტრიესტინა 0:0 ჩიტადელა
ტარანტო 1:0 მესინა
ლუკეზე 1:1 სამპდორია
სპეცია 0:0 ალბინოლეფე
ლივორნო 3:2 პისტოიეზე
პესკარა 0:1 ანკონა
ტერნანა 2:0 ნაპოლი
ლანჩანო 2:1 სალერნიტანა
ბარი 4:1 კროტონე

## ესპანეთი

**თასის 1/32 ფინალი**

გრამანეტი 0:1 მალიორკა
ბარაკალდო 1:3დ.დ. (ხ) ალავესი
ამურიო 1:2 ბილბაო
ბურგოსი 0:1 სელტა
სარაგოსა 3:1 სოსიედადი
სპორტინგი 1:2 ვალიადოლიდი
ლეონესა 2:1დ.დ. (ხ) რაიო ვალეკანო
ნუმანსია 2:0 ტენერიფე
ხეტაფე 2:1დ.დ. (ხ) ლას პალმასი
ირუნა 3:2 რასინგი
ხიმნასტიკი 0:0 (პენ. 4:5) ვალენსია
ნოველდა 3:2 ბარსელონა
პალამოსი 6:1 ელჩე
ტერასა 2:0 ლევანტე
ესტრემადურა 1:1დ.დ. (პენ. 1:4, ხ) მალაგა
ხერესი 0:3 ბეტისი
კორალეხო 1:2 დეპორტივო
ალიკანტე 1:0 ესპანიოლი
ლინარესი 1:0 ლეგანესი
მოტრილი 1:1დ.დ. (პენ 3:4, ხ) ბადახოსი
კასერენო 0:2 სერესი
რეიესი 1:8 რეალი
ალმერია 3:2დ.დ. (2:2) კორდობა
ხაენი 0:3 სევილია
ალბასეტე 1:2 ეიბარი
ლანსაროტე 1:2 ატლეტიკო

## პოლონეთი

**თასის 1/16 ფინალი**

გარბარნია 1:3 ვისლა
ოსტროვიეცი 2:1 პოლონია
ზაგლებე 4:1 კატოვიცე
ბელხატოვი 2:3 ამიცა
ელბლაგი 0:6 ოპოჩნო
ოზაროვი 0:2 ოდრა
პოლკოვიცე 0:1 გროცლინი
სკიერნევიცე 3:5 პოლარი
სოსნოვიეცი 1:3 სტომილი
ზამოში 2:0 შლიონსკი
ზიელონა 0:0 რადომსკო
ლოძი 1:3 პოგონი
ოკოჩი 0:3 ლეგია

## თურქეთი

**გადადებული მატჩი**

გაზიანთეპსპორი 3:3 ფენერბაჩე

## ბელგია

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

გენკი 5:2 ბეირსხოტი

შვეიცარიასთან შერცხვენილი საქართველოს ნაკრები მასსავით დამარცხებულ, თუმც ისეც ფავორიტ ირლანდიას გაისად, 29 მარტს უმასპინძლებს. იქამდე საკმაო დროა, ჯგუფის სადღეისო სატურნირო ვითარებაც შეიცვლება და ვინ იცის, საგაზაფხულოდ რომელი გუნდი მეტად იყოჩაღებს, მაგრამ ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკარტი რუსების ირლანდიაში დამარცხებას აქედანვე გვპირდება. მაკარტი გვარწმუნებს, ასე იქნებაო და აბა, ირლანდიელთა ოპტიმიზმი როგორ არ გავიზიაროთ. ოღონდ ისიც ვიკითხოთ, რუსებთან ხელმეორე დაპირისპირებამდე მაკარტისაც და ვალერი გაზაევსაც თავიანთ რჩეულთა თბილისში ჩამოყვანა რომ მოუწევთ, საქართველო მათ როგორი განწყობით დახვდება



# საქართველომ მაკარტი გააკვირვა

## ირლანდიელთა მწვრთნელი რუსეთის დამარცხებას გვპირდება

**პირველი ტურის** ამბები კი კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ. რუსებმა მოსკოვში ირლანდიელები დაჯაბნეს, შვეიცარიაში ჩვენმა ბაქიბუქა ნაკრებმა ჯგუფის აუტსაიდერობა შეითავსა, ალბანეთმა კი დაისვენა და როცა თბილისს რუსები ეწვევიან, ისინი ტირანაში შვეიცარიას დაუხვდებიან.

მოკლედ, ალბანელები ჯერჯერობით უსაქმოდ არიან და იტალიელ მწვრთნელ ჯუზეპე დოსენას სათქმელი ალბათ ბევრიც არაფერი ექნება, ქართველთა მძლეველი იაკობ კუნი „სარბიელს" უკვე ესაუბრა, რუსთა თავკაც ვალერი გაზაევს სასაუბროდ უახლოეს ხანს შევუთანხმდით, ალექსანდრე ჩივაძე, როგორც ყოველთვის, ჟურნალისტებს თავს არიდებს; ირლანდიელმა **მიკ მაკარტიმ** კი ჩვენს კითხვებზე გუშინ გვიპასუხა, როცა დუბლინში დავუკავშირდით:

**— ლოგიკური იყო პირველი ტურის ანგარიშები?**

— სასწაული არ მომხდარა. მოსკოვში კარგი, საინტერესო თამაში გამოვიდა, რუსებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. შვეიცარიაშიც, როგორც გადმოცეს, ძლიერმა მოიგო.

**— შვეიცარია — საქართველო არ გინახავთ?**

— არა, ვერც მატჩს დავესწარი და ჯერჯერობით ვერც ვიდეოჩანაწერის ნახვა მოვასწარი. ანგარიშმა გამაკვირვა, არ ველოდი, შვეიცარიასთან საქართველო ასე თუ დამარცხდებოდა.

**— მოულოდნელი იყო მოსკოვური ანგარიშიც—**

— რუსები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აშკარად მომძლავრდნენ. თუ გახსოვთ, მათ ჩემპიონატამდე დუბლინში ვუმასპინძლეთ და 2:0 მოვუგეთ. იმ მატჩს მოსკოვურს ვერ შევადარებ. რუსებს, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჰყავთ.

**— თქვენ?**

— ჩვენთან ბევრი ცვლილება არ არის. მოსკოვში ის ფეხბურთელები გვყავდა, რომლებსაც ნაკრებში აქამდეც ვიწვევდი.

**— შეგიძლიათ, თქვათ, რომ შვეიცარია რუსეთ — ირლანდიის დავაში ჩაერევა?**

— შვეიცარიაც, საქართველოც და ალბანეთიც. პირველი ტური ბევრს არაფერს წყვეტს. წინ შვიდი მატჩია. რუსებს კი, დარწმუნებული ვარ, შინ დავამარცხებთ, ქულასაც არ გავატანთ.

**— საქართველოს ნაკრებს კარგად იცნობთ?**

— ქართველ ფეხბურთელთა გვარები კი მსმენია, მაგრამ გუნდზე წარმოდგენა არ მაქვს. ვნახავ შვეიცარია — საქართველოს ჩანაწერს და მერე ვისაუბროთ.

**— ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც: თბილისში ირლანდია ამავე შემადგენლობით ჩამოვა?**

— მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება.

**— რუსებს შესწევთ ჯგუფში პირველობა?**

— ვნახოთ, შემდეგი მატჩები ოქტომბერშია და რომელი გუნდი რისი მაქნისია, მაშინ გამოჩნდება.

**— ოქტომბერში საქართველო რუსებს მასპინძლობს. როგორი შედეგი იქნება თქვენთვის ხელსაყრელი?**

— ფრე, თუმც საქართველოს მოგებაც სასურველია. იმედია, საქართველოდან რუსები სამ ქულას ვერ წაიღებენ.

**ძოზა ინასარიძე**

# შოტლანდიელებს ქართველი შემოაკლდათ

## დანდი საჯაიას ელის

**შოტლანდიურ „დანდის"** ერთი ქართველიც შეემატება. ედიკ საჯაია, რომელიც ამჟამად მოსკოვის „ტორპედოში" თამაშობს, უკვე კარგა ხანია შოტლანდიელთა თვალთახედვის არეშია და რამდენჯერმე შეხვდა კიდეც „დანდის" მესვეურთ. ქართველი ფეხბურთელი „ტორპედოში" გადასვლამდე შოტლანდიელებთან ერთად ერთ კვირაც ვარჯიშობდა, მაგრამ მაშინ „ვიტ ჯორჯიადან" მისი „დანდიში" ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი საჯაია შოტლანდიელებს კვლავ გაახსენდათ. ჩვენი ინფორმაციით, მას შვეიცარიაში დაუკავშირდნენ და ესაუბრნენ. „დანდი" ქართველის გადაბირების სურვილს ადასტურებს და არც ფეხბურთელია ამ კლუბში თამაშის წინააღმდეგი. როგორც ვიცით, პირობები უკვე შეთანხმებულია, ფეხბურთელს კი კიდევ ერთხელ და ალბათ საბოლოოდ მოსალაპარაკებლად, შოტლანდიელები უახლოეს დღეებში ელიან. ჯერჯერობით უცნობია რამდენწლიან კონტრაქტზეა ლაპარაკი, თუმც კი, „დანდიდან" შეგვატყვეთ, რომ საჯაიას ტრანსფერი ფაქტობრივად გადაწყვეტილი საქმეა.

**ძოზა ინასარიძე**



ედიკ საჯაია

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი ეტაპი

6 ტური

# თამაში ორი ტაიმია

## სვანაძემ რკინიგზა ჩააფიქრა

**მამუკა კვანტალიანი**

**თბილისური „ლოკომოტივი"** რამდენიმე დღეში პირველ მწვრთნელს ელის. ლუის ცაკარაისის კარგ შანსებზე დღეს ბევრი ლაპარაკობს, მაგრამ გუშინ „შევარდენზე" ზაურ სვანაძემ ისეთი წარმატებული დებიუტი მოიწყო, ვინძლო კლუბის ხელმძღვანელებს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

უკვე მეორედ შევესწარი „ვიტ ჯორჯიას" ბრწყინვალე პირველ ტაიმს „შევარდენზე". ვეტერინარები თამაშს ორგანიზებულად იწყებენ, მეტოქეზე ზეწოლას ნელ-ნელა ზრდიან, გოლს გაიტანენ, რამდენიმე ხელსაყრელ მომენტს ქარს გაატანენ და გასახდელისკენ წელგამართულები მიაბიჯებენ.

მე ვერ გეტყვით, რა ემართებათ ვიტელებს დასასვენებლად და ძალების მოსაკრებად განკუთვნილ თხუთმეტ წუთში. გასახდელიდან მოედანზე დაბრუნებულები ერთბაშად კარგავენ უპირატესობას, დამძიმებულები მოძრაობენ და სტუმარს აჩარებენ. ასე იყო „დინამოსთან" მეოთხე ტურის მატჩში, იგივე განმეორდა გუშინაც, განსხვავება მხოლოდ ანგარიშშია. ათგზის ჩემპიონთან ვიტელებმა ფრედ ითამაშეს, ხოლო ვიცე-ჩემპიონებთან დამარცხდნენ.

ჯანი კარნევალიმ სამი მცველი და სამი შემტევი დაუპირისპირა ზაურ სვანაძის ამდენივე უკანახაზელს და ორ ფორვარდს. ნახევარდაცვაში ერთით ზედმეტი ფეხბურთელით გარჯას თითქოს სტუმრების წისქვილზე უნდა ესხა წყალი, მაგრამ თუ მატჩის დებიუტში რუსიას სახითაფო გარღვევას არ ჩავთვლით, მასპინძელთა უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა.

იტალიელის ბიჭები უნარიანად აზღვევდნენ ერთმანეთს. მახვილგონიერი და მოულოდნელი ადამიას წყალობით, ვისაც ციბრუტივით მოტრიალე ერეკლე მერებაშვილი ეხმარებოდა, ბევრ საფიქრალს უჩენდნენ ლომაიას.

გოლამდე სწორედ მერებაშვილმა შეამოწმა რკინიგზელთა მეკარის მხედველობა, თუმც მის სახიფათო თავურს ლომაია გაუმკლავდა. მალე გოლიც გავიდა. უბრალო მომენტში ორბელაძეს მინდორზე ფეხი დაუცდა, მოედნის სიღრმიდან გადმოგდებული ბურთი ადამიამ დაიმორჩილა, სიჩქარე აკრიფა, დაღვენებულ მცველებს ყურადღება არ მიაქცია და მეკარესთან პირისპირ შეყრილმა ეშმაკური დარტყმით „ვიტ ჯორჯია" დააწინაურა.

90 წუთში ეს იყო ერთადერთი მომენტი, როცა ლომაიამ ვერაფერი იღონა, სხვა შემთხვევებში კი უშეცდომო და შეუდარებელი გახლდათ.

პირველ ტაიმში მასპინძლებს კიდევ ერთის გატანა ხელეწიფებოდათ, მაგრამ საჯარიმოს სიახლოვიდან დილმელაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი ლომაიამ დაიჭირა.

რკინიგზელები კი ცდილობდნენ, მაგრამ თითქმის არაფერი გამოსდიოდათ. ერთადერთი, რასაც ზედმეტად ხისტ თამაშს და მსაჯთან შეპასუხებას გამორჩნენ, ზაზა ჯანაშიასთვის აფრიალებული ყვითელი ბარათი იყო.

შესვენებაზე წასვლის დრომაც მოაწია, სვანაძეც ფიქრიანად გაუყვა გასახდელისკენ გზას და რამდენიმე წუთში იქიდან სულ სხვა „ლოკომოტივი" გამოიყვანა.

ორი ფეხბურთელი დაასვენა რკინიგზელთა თავკაცმა, მოედანზე თამაშს მოწყურებული დავითაშვილი და ლაცაბიძე გამოიყვანა. ფლანგებზე გოგიჩაიშვილმა და რუსიამ გაილაღეს. ზაზა ჯანაშია ჩვეულად, ნაყოფიერად გაისარჯა. დავითაშვილი მოუხელთებელი შეიქნა, იღბლიანადაც დაიწყეს მეორე ტაიმი სტუმრებმა და სამ წუთში მატჩი სათავისოდ შემოაბრუნეს.

–გოგიჩაიშვილი გაქანდა მარჯვენა ფლანგზე. პირით ხაზამდე ჩასულმა შემხვედრი გველეხიანი ადვილად ჩამოიშორა და მეკარის მოედნის გასწვრივ ძლიერად ჩააწოდა. მერლანი ნახტომში თითებით შეხწვდა ბურთს, პასის მომლოდინე რკინიგზელი უსაქმოდ დატოვა, მაგრამ გადმოვარდნილს ჯანაშიამ დაჰკრა. მეკარემ დარტყმა ისევ მოიგერია, თუმც მშველელი არ გამოჩნდა და რუსიამ ბოძებული შანსი შეირგო.

„ვიტ ჯორჯიამ" ცენტრიდან დაიწყო, ბურთი მაშინვე დაკარგეს მასპინძლებმა და რამდენიმე წამში საქმე სანანებლად გაიხადეს. დავითაშვილმა დოლიძეს ბრძოლაში აჯობა, საჯარიმოშიც შეაღწია და ლაცაბიძეც დროულად შენიშნა. ზაზამ ძლიერად დაარტყა, მერლანის ნახტომმაც არ დაიგვიანა, მეკარე ბურთს კი მისწვდა, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლო და გოლიც მარჯვენა დაბალ კუთხეში გავიდა.

თამაშიც, ფაქტობრივად, მაშინ დამთავრდა. მასპინძლები კი საბოლოოდ მესამე გაშვებული გოლის შემდეგ გატყდნენ, რომელიც პირველის ალი-კვალი იყო. გოგიჩაიშვილმა დაიწყო, ჯანაშიამ გააგრძელა, მერლანმა ისევ ნახტომში ჩაჭრა პასი და... ამჯერად რუსიას ნაცვლად დავითაშვილმა მიიჭრია საგოლედ. სტუმრებს გატანა ამის მერეც შეეძლოთ, მაგრამ მეტოქეს დაბნეულობა აპატიეს.

მალალურაძის სასტვენის შემდეგ მასპინძლებს დანა პირს ვერ უხსნიდა. მათ არც ის უხსენებიათ, პირველ ტაიმში მსაჯს არდანიშნულ პენალტს რომ ედავებოდნენ. ეს გოლის შემდეგ იყო, ადამიამ სალუქვაძეს სისწრაფეში აჯობა, ბურთი საჯარიმოში შეიგდო და მეურვესთან ჭიდილში დაეცა. იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი, ალბათ, მხოლოდ ადამიამ, სალუქვაძემ და მალალურაძემ უწყიან.

„შევარდენზე" მოსული ქომაგი კი გაკვირვებული კითხულობდა, როგორ მოახერხეს ვეტერინარებმა წაგებაო. დამარცხდნენ იმიტომ, რომ „ლოკომოტივმა" იმარჯვა. რკინიგზის გუნდის გამოცდილმა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მათი ჩამოწერა ნაადრევია. ზაურ სვანაძემაც ყველას აგრძნობინა, მწვრთნელობისა მასაც რომ გაეგება.

ნამატჩევს გაოგნებული იყო ვიტელთა იტალიელი თავკაცი **ჯანი კარნევალი**: გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ, ჩვენ ხომ პირველ ტაიმში პრობლემა არ გვქონია, თამაში ორ წუთში წავაგეთ, ეს დაუჯერებელია.

ვფიქრობ, პენალტი გვეკუთვნოდა, მაგრამ ეს ახლა რა სათქმელია. ჩვენ ხომ უსახელოდ დავთმეთ მეორე ტაიმი. რამდენიმე ვიტელის მოედანზე ქცევამ, თამაშისადმი დამოკიდებულებამ კი სერიოზულად შემაშფოთა. მე მათ კიდევ ერთ შანსს მივცემ, თუ გამოფხიზლდნენ, ხომ კარგი, არადა, მათ ნაცვლად უფრო ახალგაზრდებს ვენდობი.

**ზაურ სვანაძემ** სათქმელი ორ წინადადებაში ჩაატია: თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, მეტოქემ გვაჯობა და ჩვენც ტემპს ვერ მოვუმატეთ. მეორე ტაიმში სხვა გზა არ იყო, გავრისკეთ, მეტიც ვიმოძრავეთ და შედეგიც მივიღეთ.

თბილისი. 11 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი. 300 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 1:3 ლოკომოტივი**

| | |
|---|---|
| 1:0 ადამია (16), 1:1 რუსია (47), 1:2 ლაცაბიძე (48), 1:3 დავითაშვილი (61) | |
| ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, მუჯირი, დ. დოლიძე (ბერელიძე 73), დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გველესიანი (ბოლქვაძე 56), გ. გოჩაშვილი (ციდიანი 63), მელქაძე, ადამია, ე. მერებაშვილი<br>სათადარიგონი: მამარდაშვილი, იმ. კირვული, თედორაძე, ფეიქრიშვილი<br>მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, რუსია, გელა ქორიძე, კვარაცხელია (დავითაშვილი 46), მ. ბურნაძე (ლაცაბიძე 46), ონიანი, გოგიჩაიშვილი (მორჩილაძე 87), ზ. ჯანაშია<br>სათადარიგონი: იფარდაძე, ლ. მიქაძე, გოლაური<br>მწვრთნელი: ზაურ სვანაძე |
| გაფრთხილება: ჯანაშია (24), სალუქვაძე (72) | |
| მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგაძე, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხიზანიშვილი | |
| ჯარიმა: 19-22; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 7-6; თამაშგარე: 3-4 | |



ვიტელებს თვალი ზაზა ჯანაშიას ეჭირათ, ამ დროს კი სხვებმა გაილაღეს



პაატა მაჭუტაძის პენალტი: რამაზ სოლოლაშვილი იქით, ბურთი აქეთ...

ბათუმი. 11 სექტემბერი. 17 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:1 დილა

0:1 ხმალაძე (49), 1:1 მაჭუტაძე (62პ)

ბათუმი: ტოგონიძე, მახარაძე, თურმანიძე, მინდაძე, ხუჯაძე, რომანაძე, ტულუში, ქაცარავა, დარჩიძე, მაჭუტაძე, ბეჟანიძე
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ჩიჩუა, გალოგრე, კუნჭულია, ნემსაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

დილა: სოლოლაშვილი, გ. ზ. რევაზიშვილი (რაზმაძე 56), ლომიძე, დავითიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, ფეხუაშვილი, საყვარელიძე, ჯობაძე, ხორგუაშვილი (ბ. ჩიტაია 61), ა. ხმალაძე (სულთანიშვილი 74)
სათადარიგონი: თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, სოხიაშვილი, ძოძუაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: გ. ჩიტაია (79)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. მუშკუდი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 9-20; კუთხური: 5-1; კარისკენ დარტყმა: 7-5; კარში დარტყმა: 6-3; თამაშგარე: 7-4

# დავითნიძის ხელმა ბათუმს ხელი გაუმართა

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**მოგებებს** გადაჩვეულ და ცხრილის ფსკერზე დალექილ „ბათუმს" გუშინ უპრინციპულესი მატჩი ჰქონდა ასევე მწირქულიან „დილასთან". ასლან ბალაძის შერყეულ ავტორიტეტს უცილობელი მოგება თუ განამტკიცებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ზღვისპირელები აგერ უკვე მესამე ფრეს დასჯერდნენ.

დიდი შანსი იყო, „დილას" სულაც მოეგო, დავითნიძეს უადგილო ადგილას რომ არ გამოეყო ხელი და მაჭუტაძისთვის პირველი ბათუმური გოლის გატანის შანსი არ მიეცა.

საერთოდ, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი ჯიგრიანად იბრძოდა, მეტოქეს ხისტად (და არა უხეშად) ებრძოდა და შესაშურ ფიზიკურ კონდიციებს აჩვენებდა.

აშკარაა, რომ „ბათუმში" რაღაც ხდება, მართალია, ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ გუნდის აშკარად უმოტივაციო თამაში გარკვეული ეჭვების საფუძველს იძლევა.

პირველი ტაიმი ისეთი სცენარით წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო. „ბათუმი" შეტევას ცდილობდა, „დილა" კი შეძლებისდაგვარად იჩხლიტებოდა. ყველაფერი ეს საკმაოდ ცოცხალ თამაშში აისახა და გოლის გატანის მეტნაკლები შანსი ორივე მხარეს მიეცა.

და მაინც, მთავარი მოვლენები შესვენების შემდეგ განვითარდა. მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, ქართლელთა შემტევი ხმალაძე მეურვე თურმანიძეს წამიერად რომ დაუსხლტა და ტოგონიძესთან პირისპირ გავიდა. ნიკამ მომხდურის არცთუ ძლიერი დარტყმულის ფეხით შეჩერება სცადა, თუმცა ამაოდ. ბურთი გორებ-გორებით კარის ხაზს უკან აღმოჩნდა.

ცივი შხაპის ეფექტი იქონია ამ გოლმა მასპინძლებზე რომლებსაც ხერიანი და, რაც მთავარია, შედეგიანი შეტევის ორგანიზება უჭირდათ. საპასუხო გოლამდე ერთადერთი ღირებული ეპიზოდი შეიქმნა „დილას" კართან, მაჭუტაძე მაღალ ჩაწოდებულს პირველი რომ გამოეხმაურა, მაგრამ მისი თავური კარს ოდნავ ასცდა.

ზღვისპირელთა ნანატრ გოლში კი ლომის წილი გორელმა დაიდო. დავითნიძემ მარჯვენა ფლანგიდან ქაცარავას ჩაწოდებული ბურთის მკერდით მოგერიება სცადა. მოიგერია კიდეც, ოღონდ არა მკერდით, არამედ ხელით. არადა, სოლოლაშვილს არც გაუჭირდებოდა ამ პასის ჩაჭრა და ბურთის ხელში აღება, თუმც ვინ აცადა და სანაიამაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი.

გამოცდილმა მაჭუტაძემ დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. სოლოლაშვილი მარჯვნივ გადაახტუნა, ბურთი კი მარცხნივ შეაგორა კარში.

გორელთა საჩუქარმა „ბათუმი" ერთხანს გამოაღვიძა. დროის ამ მონაკვეთში „დილას" დაცვას და სოლოლაშვილს მძიმე ჯაფა დაადგათ. განსაკუთრებით მაჭუტაძე გამოირჩეოდა, რომელსაც ორი-სამი კარგი საგოლე შანსიც მიეცა, თუმც ფხიზლად და საიმედოდ მოთამაშე სტუმრებმა შეძლეს სიტუაციის განმუხტვა.

აჭარელთა ზეწოლა დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა და ბოლო წუთებში „დილამ" მოახერხა თამაშის გათანაბრება. უფრო უკეთესად რომ გარჯილიყვნენ გორელები, იქნებ დაესაჯათ კიდეც შეტევაში გართული მასპინძლები. მათი კონტრიერიშები მწვავე კი ჩანდა, მაგრამ ბოლოსკენ ფაზაში აშკარად მოიკოჭლებდნენ ხაჩიძის შეგირდები.

„ბათუმს" მაინც შეეძლო მეტოქისთვის სამი ქულის ხელიდან გამოგლეჯა. დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა, მაღალ ჩაწოდებულზე სოლოლაშვილი გამოსვლაზე რომ შეცდა და დარჩიძეს ცარიელი კარის დალაშქვრა თავით შეეძლო. მასპინძელთა სამწუხაროდ, მან ბურთი კარს აცილა და თავისი გუნდის მოგებას შავი ზღვის წყალიც დაალევინა.

რუსთავი. 11 სექტემბერი. 17 საათი. ფოლადი. 2 000 (ტევადობა 12 000)

## გორდა 0:1 მილანი

0:1 ქარჩავა (59)

გორდა: ბეჟიაშვილი, თავბერიძე, ა. ბურჩაძე, სილაგაძე, ლურსმანაშვილი, ალადაშვილი, ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე (ზოხელი 46), ვ. კილასონია (ჟღენტი 24), გ. კილასონია, გოცირიძე (სოხაძე 63)
სათადარიგონი: ჩლაიძე, მალანია, არსოშვილი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

მილანი: მამალაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, ტუიბაია, მეტონიძე, ლამბაშიძე, მ. სამხარაძე, ქალიაშვილი, ქარჩავა (ვართაგავა 85), მედლეფი (შელეგია 76), გაბედავა
სათადარიგონი: გრძელიძე, ეგაძე, დანელია, ჯაფარიძე, ლელუაძე
მწვრთნელი: ბერდია გვენცაძე

გაფრთხილება: თავბერიძე (43), მეტონიძე (48), ბურჩაძე (61)

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ნ. რუსიაშვილი (ქუთაისი), ო. ხეცაძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 12-17; კუთხური: 9-3; კარისკენ დარტყმა: 3-6; კარში დარტყმა: 4-2; თამაშგარე: 6-5

# და რას ამბობენ ბავშვის ბაგენი?! ბერდიას მილანს გორდამ ვერ სძლია

**კახა შალამბერიძე რუსთავიდან**

**მატჩი** შარშან ნიუ იორკში მომხდარი ტერაქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივმისაგები წუთიერი დუმილით დაიწყო და... მსაჯებზე თავდასხმით დამთავრდა.

მთავარმა მსაჯმა ავთანდილ ორდენიძემ შეხვედრას ოთხი წუთი დაამატა, თუმც უნიათოდ მოთამაშე რუსთავის „გორდას" მტერმისმაგვარმა ვერაფერი ხეირი ანახა მასპინძლებს და საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.

გუნდებმა თანდათან დატოვეს მოედანი, მსაჯები კი ცენტრში შეიკრიბნენ და... მათ საქმეს გია კილასონია ურჩევდა რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად. მთავარი „დამნაშავე" კი თანამსაჯი ოთარ ხეცაძე იყო, რომელსაც, რუსთაველთა აზრით, „მილანის" გოლისას თამაშგარე უნდა დაეფიქსირებინა.

საქმის გარჩევამ რამდენიმე წუთს გასტანა. მსაჯებიც ნელ-ნელა მოედნის კიდეს მიუახლოვდნენ და გასახდელში შესასვლელადაც ემზადებოდნენ, რომ მოედანზე „გორდას" დირექტორატის ერთ-ერთი წევრი შეიჭრა, ხეცაძეს გაეკიდა და წიხლიც მიაყოლა. მინდორზე ცოტა ხანს ამგვარი კატათაგვობანა გაჩაღდა, თუმც მერე თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა... სამართალდამცავები კი, ვითომც, სამართალი სულაც არ ირღვევაო, მშვიდად უყურებდნენ მომხდარს.

შესაძლოა, მოედანზე უარესი მომხდარიყო, მაგრამ საიდანღაც მავანი ბრგე კაცი გამოვარდა, ხეცაძეს მკლავში ხელი ჩაავლო და გასახდელში შეიყვანა. შიგნით რა მოხდა, ნაღდად ვერ გეტყვით, რადგანაც პოლიციელებს ამის შემდეგღა გაახსენდათ საკუთარი მოვალეობები და გასახდელისკენ მიმავალი გზაც საგანგებოდ გადაკეტეს...

...ჩემს წინ მდგომმა ხუთი-ექვსი წლის გოგონამ, რომელმაც ყოველივე საკუთარი თვალით იხილა, მამას ახედა და გაკვირვებულმა ჰკითხა: „თვითონ ვერ თამაშობენ და იმათ რას ერჩიან?.."

კითხვა მართლაც საინტერესოა, პასუხისა რა მოგახსენოთ...

თავად მატჩზე კი რა უნდა ვთქვათ. იმ პატარა გოგონას თქმისა არ იყოს, წნორელებმა ყველაფერში დაჩაგრეს მასპინძლები. ძალიანაც წარმატებული დებიუტი მოიწყო „მილანის" ახალმა თავკაცმა ბერდია გვენცაძემ. მისმა გაწვრთნილმა გუნდმა უფრო გამართულად ითამაშა. „გორდამ" კი უსუსური შთაბეჭდილება დატოვა. მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლებს კარში ხეირიანად არც დაურტყამთ. მხოლოდ შეცვლაზე შესულმა არჩილ სოხაძემ გაისროლა ორჯერ, თუმც ბურთი ორჯერვე ხარიხას მოხვდა. ეს იყო და ეს.

წნორის „მილანს" კი კიდევ არაერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ სტუმრებს სიზუსტემ უმტყუნა. მატჩის ერთადერთი გოლი კახელებმა 59-ე წუთზე გაიტანეს. მირზა სამხარაძის შორი პასით გიორგი ქარჩავა პირისპირ დარჩა მეკარესთან და შანსიც ხელიდან არ გაუშვა.

ამის შემდეგაც მატჩის სადავეები სტუმრებს ეპყრათ ხელთ, „გორდა" კი არაფრისმაქნისი იყო. დაუღალავმა მირზა სამხარაძემ ერთპიროვნულად დაიპყრო მოედნის ცენტრი, წინ კი მასპინძლებს ვლადიმერ გაბედავა უშლიდა ნერვებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია წნორელთა ფორვარდი ზაზა მედოევიც. მან მძიმე ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა მეთორმეტე ეროვნულში და პირველ ტაიმში რუსთაველი მცველები გვარიანად გააბრუა, მერე კი ტრავმამ შეახსენა თავი და შესაცვლელი შეიქნა.

მატჩის მერე კი ის მოხდა, თავში რომ გითხარით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 12:1 | 16 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| სიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| მეტალურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:10 | 9 |
| კოლხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:10 | 6 |
| მერანი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | 6 |
| დილა | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| მილანი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:9 | 4 |
| გორდა | 6 | 1 | 0 | 5 | 2:10 | 3 |
| ბათუმი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩამოეჭრათ 0:3 წაგება

ქუთაისი. 11 სექტემბერი. 17 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 500)

## ტორპედო 6:1 კოლხეთი

0:1 ნარსია (15), 1:1, 2:1 იონანიძე (39, 45პ), 3:1, 4:1 ზირაქიშვილი (55, 64), 5:1 იონანიძე (75), 6:1 ზირაქიშვილი (85)

ტორპედო: სტურუა, ლ. ქილიძე, დოდავა, მახვილაძე, ქემოკლიძე, გუჩუა (ახალკაცი 32), კვეტენაძე, ბაბუნაშვილი, იონანიძე, ასათიანი (დ. ჯანაშია 52, პორთშინი 71), ზირაქიშვილი
სათადარიგონი: ქანტურია, აკოფიანი, მიქიანი, სულაბერიძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

კოლხეთი: მ. გვასალია, ნარსია, მ. ქობულაძე, შ. ლონლაძე, გაბიდაური (სვანიძე 69), ქუტიძე, ფამფულიძე, გოგუა, ე. გვასალია, კვერნაძე (კრასოვსკი), გოჩჩაროვი
სათადარიგონი: ჩემია, გურგენიძე, პ. ბაჩილავა, მ. ფილია, კურაშვილი
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: ქემოკლიძე (64)

მსაჯები: ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 17-12; კუთხური: 11-3; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 13-3

# ფედერაცია გაფრთხილებთ: თქვენი ცუდი სიტყვა ჩვენი კარგი ფულია!

**გუშინ** სპორტის აკადემიაში ამ ახალ საფეხბურთო სეზონში პირველად სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის სხდომა ჩატარდა.

დისციპლინარებს სულ ოთხი საკითხი ჰქონდათ განსახილველი, რომელთაც თავი უპრობლემოდ გაართვეს.

26 აგვისტოს, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეოთხე ტურში, „მერანი" — „ბათუმის" მატჩის არბიტრმა სტუმარი კახა კობიძე თანამსაჯის გინებისთვის გააძევა. კობიძე ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 100 ლარითაც დაჯარიმდა.

30 აგვისტოს, მეხუთე ტურში, რუსთავის „გორდა" ფოთის „კოლხეთს" ესტუმრა და დამარცხდა. ზუგდიდელმა სერგო კვარაცხელიამ კი ორ რუსთაველ ფეხბურთელს აუფრიალა წითელი ბარათი. არბიტრმა ჯერ დავით ბერიძე გაისტუმრა მოედნიდან ბოლო იმედის ჯარიმისთვის, მერე კი დავით ზაზაშვილს გინება არ აპატია.

მოვლენები არც მატჩის შემდეგ ჩამცხრალა. როგორც სერგო კვარაცხელია და მატჩის ინსპექტორი ადიკ დურსუნიში პატაკში წერენ, დავით ბერიძე მსაჯებს მოედნის გარეთ დახვდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

დისციპლინარებმა ბერიძეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 150-ლარიანი ჯარიმა „გამოუწერეს". მისი თანაგუნდელი დავით ზაზაშვილი კი 2 თამაშს გამოტოვებს და 100 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს.

ბოლოს კი პირველ ლიგის „დამნაშავეზეც" ვთქვათ. 2 სექტემბერს, პირველ ტურის თსუ — „ლაზიკას" მატჩში სტუდენტთა მეკარემ გელა ძამუნაშვილმა საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და წითელი ბარათიც დაიმსახურა. ის მხოლოდ ერთ მატჩში ვერ დაეხმარება თანაგუნდელებს და 50 ლარსაც გადაიხდის.

ასეთი უხმაურო გამოდგა ახალი სეზონის პირველი სხდომა, თუმც ჩემპიონატი მალე გახურდება და, ალბათ, დისციპლინარებს საქმეც მოუმრავლდებათ.

**კახა შალამბერიძე**

# არც ერთი ინგლისური გოლი

## მსაჯს სახსრები ატკივდა



არსენალი — სიტი. მანჩესტერელი ეიალ ბერკოვიჩი მასპინძელთა კაპიტან პატრიკ ვიეირას ფეხებში სულ ტყუილად ჩაუვარდა

### ინგლისი

**პრემიერლიგა. V ტური**

**არსენალი 2:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 ვილტორდი (26), 1:1 ანელკა (29), 2:1 ანრი (42)
არსენალი: სიმენი, ლუენი, ს. კემპბელი, კოულ, ეშლი კოული, ვილტორდი, ვიეირა, ედუ (ტურე 73), ჟილბერტო სილვა, ბერხკამპი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, დისტინი, ჟიხაი, ჰოუი (მორლოკი 79), რაიტ-ფილიპსი, ფოუ, ბერკოვიჩი, ბენარბია, იენსენი, ანელკა, ჰაკერბი (გოტერი 59)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ვიეირა, ბენარბია, დისტინი, ბენარბია
გაძევება: ბენარბია (85)
მსაჯი: უილკისი
37 878 მაყურებელი

**მიდლსბრო 3:0 სანდერლენდი**

1:0 ნემეტი (17), 2:0 მაკარონე (37), 3:0 ნემეტი (66)
მიდლსბრო: შვარცერი, კუდრუ, საუთგეიტი, ეჰიოგუ, სტოკდეილი, კუპერი, ჟობი (უილსონი 86), ჯერემი, გრინინგი, ნემეტი (ველანი 87), მაკარონე
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
სანდერლენდი: სორენსენი, გრეი, ბები, ბიორკლუნდი, ს. რაიტი, ბატლერი (ბელიონი 74), მაკატირი, კ. რეინა, ბიბერი, ფლო, მ. სტიუარტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: სტოკდეილი, გრინინგი, კუდრუ, ბიბერი, სტიუარტი, მაკატირი
მსაჯი: უილი
32 155 მაყურებელი

**10 სექტემბერს** პრემიერლიგაში ორი მატჩი გაიმართა: „ჰაიბერიზე" და მიდლსბროს „რივერსაიდზე".

„ჰაიბერიზე" „არსენალმა" მძიმე ბრძოლაში მოუგო „მანჩესტერ სიტის", 2:1. „ბორომ" კი „სანდერლენდი" დაამარცხა 3:0. თამაშებს წინ უძღოდა დუმილის წუთი, რითაც ფეხბურთელებმა 11 სექტემბრის მსხვერპლთ მიაგეს პატივი.

მეთოფეთა მთავარი კაცი კვლავ სილვენ ვილტორდი იყო, რომელმაც კვლავ გაიტანა. საერთოდაც ეს ფრანგ მეგოლეთა შეხვედრა იყო. ვილტორდის მეხუთე გოლს, ოთხ მატჩში, მალევე მოჰყვა ნიკოლა ანელკას გოლი — მეოთხე, ხუთ ტურში. ამას კი დაერთო ტიერი ანრის ზუსტი დარტყმა. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა, მეორეში კი „სიტიმ" თამაშის გარდატეხას ცდა არ დააკლო.

„წესით, კომფორტული მოგება გველოდა, მაგრამ „სიტი" უტეხი და შემტევი გუნდია და არ ამოგვასუნთქა — თქვა მატჩის შემდეგ არსენ ვენგერმა — ძალიან ტექნიკური და ლამაზი თამაში იყო."

დიახ, ასეთი თამაში კი იყო, მაგრამ მის მიწურულს ერთი წითელი ბარათი მაინც გამოჩნდა. სიტელი ალი ბენარბია გვერდით მსაჯს შეეკამათა და რახან ერთი ყვითელი ადრეც მიელო, მოედნიდან დაითხოვეს.

„მას უწმაწური არაფერი უთქვამს, კაპიტანია და საქმის გარკვევა მოიწადინა. ლაინსმენმა ნულზე იმსაჯა, მარტო ერთ მხარეს წევდა ალამს. თუ სახსრები ტკივა, სხვა საქმეა. ისე კი კარგი თამაში იყო, ჩვენ ვცადეთ მათ თამაშით დავპირისპირებოდით და არა ჯაჯგურით" — დაიჩივლა „სიტის" მენეჯერმა კევინ კიგანმა.

„არსენალი" კი კვლავაც რჩება წაუგებელ გუნდად, თან — შარშანდელი დეკემბრიდან.

„ბორომ" კი ნამდვილი რბევა მოუწყო მეზობელ „სანდერლენდს". ტისვეირის დერბიში მთავარი კაცი ორი იყო, ლოპორა ყრმა იტალიელი მასიმო მაკარონე, რომლის მოუსვენრობამაც ბოროელები ალანთო და შილარდ ნემეტი, რომელმაც დუბლი შეასრულა. მედუბლე სლოვაკი ჯორჯ ბოატენგის ნაცვლად მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში და საქმეც გააკეთა.

„მოგება, მოგებაა — თქვა ბოროელთა თავკაცმა სტივ მაკლარენმა — სამი ქულა კი სამი ქულაა, უბრალოდ, რახან დერბიში ვიმარჯვეთ, ფასი მეტი დაედო."

„სანდერლენდს" კი არ ჰყავდა კევინ ფილიპსი, რომელმაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა „მანჩესტერთან" მატჩის შემდეგ და რომელიც ექვსი კვირით გამოაკლდა გუნდს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# თუ კაპიტანი გქვია სახელად...



როი კინს (მარცხნივ) დევიდ ბექემისთვის სამკლავურის გადაცემა მოუწევსო

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** ყოფილი ვარსკვლავი, ინგლისის ნაკრების კაპიტანყოფილი ბრაიან რობსონი გვარწმუნებს, ირლანდიელ როი კინს კაპიტნობის დაკარგვა ემუქრებაო:

„დღეს ის გარიყულია და ძალიან ბევრ შარშია გახვეული. ეჭვი არაა, ალექს ფერგიუსონი მომხდარზე ფიქრობს და ახალ კაპიტანს დევიდ ბექემსა და გარი ნევილს შორის არჩევს. დამეთანხმებით, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი გქვია, დიდ ყურადღებას გაქცევენ და, შესაბამისად, ვალდებულიც ხდები სხვადასხვა სიტუაციებს, როგორც მინდორზე ასევე მის გარეთ, ღირსეულად გაართვა თავი. ეს ძნელია."

მოგეხსენებათ, 31 წლის კინი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შეიძლება დასაჯოს. მიზეზი: მან ავტობიოგრაფიულ წიგნში გაიხსენა „მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ 2001 წლის მარტში ჩატარებული შეხვედრა, სადაც „სიტის" ნორვეგიელი ალფ ინგე ჰაალანდი სიამოვნებით დაამტვრია.

მოგეხსენებათ ისიც, რომ კინი, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა, მიკ მაკარტიმ ბანაკიდან გააძევა და მუნდიალზე არ წაიყვანა.

ამასთან, კინი დაშავდა და ოპერაცია აქვს გასაკეთებელი.

„დროებით გაუჩინარება კინს წაადგება — ამბობს რობსონი — სანამ გამოჯანმრთელდება, იფიქრებს და რაიმეს გადაწყვეტს."

**ბაკუნა ძიძია**



# ვენგერს უბიძგეს

**არსენ ვენგერი** მალე, ალბათ, ვექილობას დაიწყებს. მგონი, უკვე დაიწყო კიდეც. „არსენალში" და მის გარშემო მომხდარი ამბები ფრანგს ამისკენ უბიძგებს.

მთავარ მეთოფეს ბოლო დღეებში ხან ვისი დაცვა უხდება, ხან ვისი. იქით, პატრიკ ვიეირას მსაჯი ენდი დურსო შემოელანძღა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. ვენგერი თავისი გუნდის კაპიტანს გამოექომაგა. მართლის მაძიებელი ცხენი გააჭენ-გამოაჭენა და აღმოაჩინა, რომ დურსოს „არსენალი" რახანია, ათვალწუნებული ჰყოლია.

მერე ეს „ექიმების საქმე" — ვენგერს უკბინეს ინგლისის ნაკრებს არსენალელი დასტაქრები რატომ ჰყავსო და ლამის, სუკ-ს თუ ცსს-ს აგენტად მონათლეს. ფრანგმა ბრალმდებლებს უპასუხა, ამ ხალხს (სულით მდაბლებად მოიხსენია) ჩვენი ჩემპიონობა არ ასვენებს და შარს გვდებენო.

ახლა კი ვენგერს ტიერი ანრის დაცვაც მოუწევს. „სიტისთან" მატჩში ანრიმ პირველი ტაიმის მიწურულს გამარჯვების გოლით გაიხარა. მოედნის კიდესთან მაისურა აიწია, რომლის შიგნითაც მეორე მაისურაზე, შავით თეთრზე ეწერა: „ეძლვნება პატარა კიდს". ვინაა კიდი? არა, ის ანრის შვილი არ არის. კიდი ჯგუფ „ტეხასის" სოლისტ შარლინ სპიტერის ბავშვია. ჰოდა, ფრანგმა ფეხბურთელმა გოლიც მას მიუძღვნა.

ფიფას დირექტივაშიც, როგორც ანრის შიდა მაისურაზე, შავით თეთრზე წერია, რომ მსგავსი საქციელი, ანუ ფეხბურთელთა თვითშემოქმედება რამდენიმე მატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება.

არსენ ვენგერმა თავის ფორვარდს სიტყვა შეაწია: „დღეს ყველაფერი აკრძალულია. მალე ემოციების გამოხატვასაც აგვიკრძალავენ. ფეხბურთელებს თავშეკავებისკენ მოუწოდებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ გოლის გატანით გამოწვეული სტიქიური სიხარული, ფეხბურთის ნაწილია. არ მესმის, რა არის ასეთ საქციელში ცუდი, მით უმეტეს, რომ წარწერა ახალშობილს ეძღვნება."

**ვაჟა ხუციშვილი**



ტიერი ანრის სიხარული დაუწუნეს

# რებროვს დეზები და ბიბილო ჩამოართვეს

**სერგეი რებროვი** ძირითადი „მამლებიდან" რა ხანია, ამოვარდა. უკრაინელმა ფორვარდმა გასაყიდ „ფრთოსანთა" ნუსხაში გადაინაცვლა. ლონდონის „ტოტენჰემს" და გლენ ჰოდლს მისი სამსახური აღარ სჭირდებათ, ძველებურად ველარ ყივიხარო, ფორმას უწუნებენ. მით უმეტეს, ტედი შერინგემსა და ლეს ფერდინანდს რობი კინი დაამატეს, რამაც რებროვი ლამის, სათადარიგოებიდანაც ამოაგდო. უკრაინელმა წინა შაბათს სომხეთის ნაკრებთანაც ვერ ითამაშა, რადგან წინა დღეს ბარძაყის კუნთმა უმტყუნა.

რებროვს ერთი შანსიღა დარჩენია — რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს ლონდონი, რათა ახალ კლუბში გადაბარგდეს და მოედანს დაუბრუნდეს. მისმა აგენტმა შანდორ ვარგიმ კლიენტის მომავალზე თქვა: „კლუბის მესვეურებმა, როგორც იქნა, ნება დაგვრთეს, ჩვენთვის სასურველი ვარიანტები მოგვეძებნა. უნდა ვიჩქაროთ, რაც მეტი დრო გავა, უთამაშებელი ფეხბურთელის ფასი დაიკლებს. ეს ლონდონელებსაც კარგად ესმით და ახალი გუნდის სწრაფად პოვნაში თვითონაც დაინტერესებულნი არიან. ისინი მზად არიან, იჯარითაც დაუთმონ რებროვი მსურველს. ვითარებას მხოლოდ ის ართულებს, რომ სატრანსფერო ფანჯარა დახურულია."

ბოლო დღეებში რებროვის მსურველთა შორის რომის „ლაციოც" გამოერია, ოღონდ მხოლოდ გამოერია. სერიოზული წინადადებით „ტოტენჰემისთვის" ჯერ არავის მიუმართავს.

**ვაჟა ხუციშვილი**


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან
ტელ: 60-21-23






REUTERS

ბაიერნი — მიუნხენი. პირობითი სტუმარი მარკუს შროტი სამუელ კუფურთან (მარცხნივ) და იენს იერემისთან, აბა, რას გახდებოდა

# ოტმარ ლუციფერი:
## ვინ არის ეს ლომი ასეთი ცისფერი?!

### გერმანია

**ბუნდესლიგა. IV ტური**

**ვერდერი 4:1 ნიურნბერგი**

1:0 აილტონი (30პ), 1:1 ჩირიჩი (54), 2:1 მიკუ (59), 3:1, 4:1 აილტონი (66, 79)

მიკუმ ვერ გაიტანა პენალტი (39, ძელი)

ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრისტაიჩი, სტალტერი, ერნსტი, ლისტუში, სკრიპნიკი, მიკუ (ბოროვსკი 73), დაუნი (ხარისტეასი 60), აილტონი (კლასნიჩი 81)

მწვრთნელი: თომას შაფი

ნიურნბერგი: კამპა, ფრაი, კოში, სანე, პოპოვიჩი, პეტკოვიჩი, ლარსენი, მიულერი, იაროლიმი, კაკუ, ჩირიჩი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბაუმანი, მიკუ, სანე, პეტკოვიჩი, კაკუ

მსაჯი: კემლინგი

25 785 მაყურებელი

**ბოხუმი 0:0 დორტმუნდი**

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფაჰრენჰორსტი, მაიხელბეკი, გუდიონსონი (ბემბენი 90), ტაპალოვიჩი, ფრაიერი, ვოში, ბაკლი (რაისი 90), კრისტიანსენი (მამუმიანი 71)

მწვრთნელი: პეტერ ნოიორური

დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, მეცელდერი, როიტერი, დედე, ფრინგსი, კელი, ჰაინრიხი, როსიცკი, კოლერი, ევერტონი (ჯ. რეინა 83)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: ბაკლი, მეცელდერი, ჰაინრიხი

მსაჯი: შტაინბორნი

32 645 მაყურებელი

**ბაიერნი 3:1 მიუნხენ 1860**

0:1 მაქსი (15), 1:1 სალიჰამიჯიჩი (41), 2:1 პიზარო (53), 3:1 ელბერი (76)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, იერემისი (ფინკი 83), ბალაკი, ზე რობერტო (ჰარგრივსი 74), ელბერი, პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მიუნხენ 1860: იენჩი, მაიერი, რისეტი (ულერიხი 67), კოშტა, ბიერკე (შუკერი 60), ბორიმიროვი (ლაუტი 80), კურცი, ჩერნი, ჰესლერი, მაქსი, შროტი

მწვრთნელი: პეტერ პაკულტი

გაფრთხილება: ელბერი, ლიზარაზუ, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, მაიერი, რისეტი, ბიერკე, მაქსი

მსაჯი: ოსტი

69 000 მაყურებელი

**ჰერტა 1:2 მიონხენგლადბახი**

0:1 მიუნხი (10პ), 0:2 ვან ჰუტი (58), 1:2 პრეცი (80)

ჰერტა: კირალი, რემერი, ფრიდრიხი, ნენე (დარდაი 29), ჰარტმანი, მარქსი, ბაინლიხი (ალვეში 46; კარვანი 67), მარსელინიო, გოორი, პრეცი, ლუიზაო

მწვრთნელი: ჰუებ სტივენსი

მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, შტრასერი, მიუნხი, ჰაუსვაილერი, კლუგე, ულიჩი, აიდორი (კორზინევი 34), ვან ჰუტი, ვან ლენტი (დემო 84)

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: ბაინლიხი, მარსელინიო, ებერლი, ვან ლენტი

მსაჯი: შებელი

40 102 მაყურებელი

**„ბაიერნი“** არ დაღის, „ბაიერნი“ დაფრინავს — ოტმარ ჰიცფელდის რკინისებრ კაცებს „ცისფერი ლომები“ ერთ ლუკმად ეყოთ. არადა, მიუნხენური დერბი ბოლო წლებში ერთობ თანაბარ, ძალიან დაძაბულ ბრძოლებში ილეოდა. გუშინ კი, „ბაიერნი“ ჭინკასავით დაქშიტინობდა.

ბუნდესლიგის ორგზის მთავარმეგოლე მარტინ მაქსმა თავურით დააწინაურა „1860“, მაგრამ ფეშენებელური ბავარიელები ამით ისე განრისხდნენ მათთვის კლასობრივად შეუფერებელ თანამიწელებზე, რომ ძალიან საინტერესო, აგრესიული და დინამიური თამაში გაჩაღდა. „ლომთა“ მეკარე საიმონ იენჩი სასწაულებს სჩადიოდა, ჯოვანი ელბერს, ჰასან სალიჰამიჯიჩს და იენს იერემისს ისეთები აუღო, ოლივერ კანი რომ მინდორზე იყო, აღარავის ახსოვდა.

მაგრამ პეტერ პაკულტის ბიჭები მაინც გატყდნენ. მიხაელ ბალაკმა მარჯვენა ფლანგზე გადაიტანა ბურთი, საიდანაც ვილი სანიოლმა მეტოქის საჯარიმოში შეჭრენილ სალიჰამიჯიჩს მყისვე უპასა — ბოსნიელმაც ჭვინტი ძლიერად და ზუსტად დაჰკრა.

„ცისფერმა ლომებმა“ შესვენებამდე გასტანეს, მაგრამ მეორე ტაიმში „ბაიერნი“ უკვე ჩვეულ, აკადემიურ სტილში შეუდგა მეტოქის მტვრევას. ბიქსენტ ლიზარაზუ სემი მაიერს კარგად დაუსხლტა მერე ზე რობერტოს უპასა, იმან პიზაროს, რომელმაც ერთი შეხებით, ცაციათი გაუტანა იენჩს.

მერე ელბერის ჯერიც დადგა — ბრაზილიელი ერთ მეტოქეს ადვილად გაუსწორდა და აგდებული ბურთი ტყვიასავით გაგზავნა ბადეში.

დიდი ინტრიგა ახლდა ბუნდესლიგაში ახლადაღზევებული, მოულოდნელად გალიდერებული „ბოხუმისა“ და ჩემპიონ „დორტმუნდის“ შეხვედრას. მათიას ზამერის გუნდმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და უფრო მწვავედაც უტევდა. საუკეთესო შანსი ტორსტენ ფრინგსს ჰქონდა, მაგრამ 28-ე წუთზე თავური ძელს დაამგვრა.

ბრემენელებმა „ნიურნბერგთან“ სამ თერთმეტმეტრიანს გამოჰკრეს ხელი, მაგრამ შტატიან პენალტისტ ვიქტორ სკრიპნიკს არც ერთი არ ანდეს. იტალიური „პარმადან“ გადასულმა ფრანგმა პლეიმეიკერმა იოან მიკუმ პირველ ჯერზე კი გაიტანა 11-მეტრიანი, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, შენი თანაგუნდელები დარტყმამდე შეიჭრნენ საჯარიმოში და პენალტისთვის ხელახლა უნდა გაისარჯოო. მეორე ცდაზე ფრანგმა ძელს გაარტყა, თუმცა მეორე ტაიმში პირველი „გერმანული“ გოლი მაინც მიითვალა ბუნდესლიგის სადებიუტო მატჩში, სანამ აილტონი ჰეთ-თრიქს გააზერხებდა.

დედაქალაქურმა „ჰერტამ“ ძალიან უნიათოდ ითამაშა, შეტევაში არაფერი გამოსდიოდა და გლადბახელებმაც ალალად აწაპნეს სამი ქულა.

**დავით თავართქილაძე**

**II ბუნდესლიგა IV ტური**

**ბურგჰაუზენი 2:2 ალემანია**

0:1 ივანოვიჩი (4), 1:1 აგუ (49), 1:2 პელიზოჟნი (61), 2:2 აგუ (78)

**კიოლნი 3:2 აინტრახტი**

1:0 ლოტნერი (13), 1:1 ბინდევალდი (45), 1:2 კრიშილოვიჩი (49), 2:2 ჩიკონი (72), 3:2 შერცი (75)

**ფიურტი 1:1 ალენი**

1:0 სურმანი (24), 1:1 დაშნერი (70)

**კარლსრუე 1:1 დუისბურგი**

0:1 კაიდელი (23), 1:1 ჩეტინი (40)

**ვალდჰოფი 0:2 ტრიერი**

0:1 ბრაჰამი (8), 0:2 ბეკოვიჩი (63)

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

**აუე 2:0 იურდინგენი**

**სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

**აინტრახტი (ფ) 1:1 რეგენსბურგი**

### ესპანეთი

**თასის 1/32 ფინალი**

**კომპოსტელა 0:1 ოვიედო**

**ერკულესი 2:1 ვილიარეალი**

**ლეგანესი 0:3 ოსასუნა**

# მრგვლებმა იმრგვლეს

**სამეფო თასის** გათამაშების პირველ ეტაპზე ყველასთვის მოულოდნელად შეეცხიბრს გამოემშვიდობა პრიმერადივიზიონელი „ვილიარეალი“, რომელიც მესამე ლიგის წარმომადგენელ „ერკულესთან“ დამარცხდა — 1:2. ოღონდ შევნიშნოთ, რომ ეს ლოგიკური მოულოდნელობაა, რაკი „ჯაიანთ კილერთა“ ამგვარი გამოხტომები ესპანური თასისთვის უცხო სულაც არ არის.

შეხვედრა „ერკულესის“ უპირატესობით დაიწყო და მე-11 წუთზე ლაფუენტემ ანგარიში გახსნა. გატანილი გოლის შემდეგ ქვედალიგელთათვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე 61-ე წუთზე მათი მოთამაშე ხასინტა მსაჯმა მოედნიდან არ მიაბრძანა.

10 კაცით დარჩენილი „ერკულესი“ ცოტა დაიბნა და ოთხიოდე წუთში ვილიარეალელმა მარტინ პალერმომ მოედნის ცენტრიდან დაწყებული იერიში გოლით დაასრულა, ანგარიში გათანაბრდა.

კაცნაკლული და გოლგაშვებული „ერკულესი“ გონს მალე მოეგო და მატჩის დასრულებამდე რვა წუთით ადრე გამარჯვებისა შეაგდო.

ორი მეორედივიზიონული კლუბის — „კომპოსტელასა“ და „ოვიედოს“ დუელი დაძაბულად წარიმართა და 58-ე წუთზე რუბენის ერთადერთი გოლით „ოვიედომ“ გაიმარჯვა.

„ოსასუნამ“ კი მეოთხედივიზიონელი „ლეგანესი“ მისსავე მოედანზე იოლად გაანადგურა.

**ლუკა გიგიაძორი**

### ჰოლანდია

**I დივიზიონი გადადებული მატჩები**

**ალკმაარი 0:4 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ოიერი (14), 0:2, 0:3 კეჟმანი (36, 45), 0:4 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (85)

**ფეიენოორდი 4:1 ექსელსიორი**

1:0, 2:0 ვან ჰოიდონკი (12, 14), 2:1 ბინასი (24), 3:1 ს. პარდო (53), 4:1 ბომბარდა (90)

**უტრეხტი 4:0 გრააფსხაპი**

1:0 კუიტი (13), 2:0 გლუშკევიჩი (27), 3:0 ტანგე (52), 4:0 კუიტი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| აიაქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| ვალვაიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:5 | 9 |
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| როდა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ზვოლე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| უტრეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| როზენდაალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ტილბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ნაიმეგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბრედა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ვიტესი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| გრააფსხაპი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| ტვენტე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| ექსელსიორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ალკმაარი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |
| გრონინგენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### შვეიცარია

**A ჯგუფი. XI ტური**

**თუნი 2:0 აარაუ**

1:0 რენფერი (21), 2:0 კერონე (46)

### შოტლანდია

**პრემიერლიგა VI ტური**

**მაზერველი 2:1 სელტიკი**

1:0 ფეგანი (77), 2:0 მაკფადენი (80პ), 2:1 ჰარტსონი (87)

### რუსეთი

**პრემიერლიგა XXIII ტური**

**ტორპედო 1:1 ზენიტი**

0:1 სპივაკი (31), 1:1 ლეონჩენკო (86პ)

# შარშანდელის გამეორება




REUTERS

ლიონელმა სიდნეი გოვუმ (მარცხნივ) და ლანსელმა აბდულა ფეიემ ერთმანეთს ხელი არაძმაბიჭურად გადახვიეს

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. VI ტური**

**ლიონი 1:0 ლანსი**

1:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (30)

**ჩემპიონატის** მე-6 ტურის პირველ მატჩში ჩემპიონმა „ლიონმა“ მშობლიურ „ჟერლანზე“ ვიცე-ჩემპიონი „ლანსი“ 1:0 დაამარცხა.

გემახსოვრებათ, ეს გუნდები წინა სეზონის ბოლო ტურამდე საჩემპიონოდ მეტოქეობდნენ. მაშინ „ლანსს“ ფრეც ჰყოფნიდა სტუმრად „ლიონთან“, რათა ჩემპიონობა ეზეიმა, თუმცა ჟერლანელებმა სტუმრები კუდამოძუებულები გაისტუმრეს და საჩემპიონო გვირგვინი პირველად დაიდგეს.

წლევანდელი სეზონის მატჩში, ლანსელები, რა თქმა უნდა, მინი-რევანშისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ. ოცდამეათე წუთზე ბრაზილიელი ჟუნინიოს უზადოდ შესრულებულ საჯარიმოს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა.

შეხვედრა არც ისე თვალსასეირო გამოდგა. პოლ ლეგუენის დამოძღვრილმა ლიონელებმა მეტოქეს გასაქანი არ მისცეს და თვითონაც დაცვაზე გადართულებმა, შეტევისთვის ისე შემართებით ვეღარ მოიცალეს, როგორც ვკადრებათ.

**ზურაბ რუზაძვილი**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს. მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. VIII ტური** | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 16.00 | 089 | პორტსმუთი-მილუოლი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 19.00 | 090 | ბრადფორდი-ვოლვერჰემპტონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,5 |
| 19.00 | 091 | ბარნლი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუიშ ფელიპე სკოლარი რივალდოს (მარცხნივ) ათჯერ შენდობას დაპირდა

# შესარჩევი გადალახა? აბა, ჩემპიონიც გახდება

**ბრაზილიურ** თემებს გვინდა შევეხოთ: რივალდო მორცხვი კაცი ყოფილა, რონალდო — დარბაზიდან ბალახზე გასულა, ხოლო 1994 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონების მწვრთნელთა, კარლოს ალბერტო პარეირასა და ლუიშ ფელიპე სკოლარის აზრით, მათი ქვეყნის ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი იმდენი არაფერია, რამდენიც შესარჩევი შეჯიბრება.

რივალდო, ამ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, სწორედ შესარჩევი თამაშების დროს, ბრაზილიურმა პრესამ ყველაზე მეტად აკრიტიკა. ამბობდნენ, იგი სანაკრებო შეხვედრებში მთლიანად არ იხარჯება და ძალებს „ბარსელონასთვის“ (მაშინ იქ თამაშობდა) ინახავსო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე უარის თქმაც კი დააპირა, მაგრამ სკოლარის მონდომებით, ტკბილი სიტყვით და თავის მოქონვით, ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა და მერე რაც მოხდა ანუ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, იცით.

„რივალდოს ვუთხარი, რომ ათ ცუდ თამაშს ვაპატიებ, არ გავკიცხავ და მაინც გუნდში მეყოლება — იგონებს სკოლარი — სინამდვილეში კი, ცხადია, სხვა რამეს ვფიქრობდი. უბრალოდ, მინდოდა მისთვის გული გამემაგრებინა, ხასიათზე მომეყვანა, ნდობა მეგრძნობინებინა. თორემ ათჯერ კი არა, ხუთჯერაც რომ ეთამაშა ცუდად, პრესა ტყავს გამაძრობდა. რივალდო ბრაზილიის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია. ნაკრებში 70 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 35 თუ 36 გოლი გატანილი. თან, ამ გოლების უმეტესობა მნიშვნელოვან შეხვედრებში შეაგდო. მისი პრობლემა ისაა, რომ ძალიან მორცხვია და პრესას ერიდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთხოვე, თუ რამე არ მოსწონდა, ხმამაღლა ეთქვა, გულში არ ჩაეხვია და, რომ იცოდეთ, გაჭრა. ის მზად იყო ჩვენი თხოვნით მარცხნივაც ეთამაშა, მარჯვნივაც, მეტოქის შეტევის დროს კაციც აეყვანა და ასე შემდეგ.“

ახლა კი, რადგან ბრაზილიის ნაკრები ვახსენეთ, ბარემ ისიც გავარკვიოთ, რატომაა ხუთგზის ჩემპიონთათვის შესარჩევი ტურნირი კოშმარი. ისევ სკოლარის მოვუსმინოთ:

„მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ადვილია. იქ ყველანი 30 დღის განმავლობაში ერთად არიან და საშუალება გაქვს, სწორ ჭკუაზე დააყენო, აჩვენო ვიდეო, ესაუბრო... შესარჩევი ეტაპისას სხვა ვითარებაა. ისინი მსოფლიოს 40 სხვადასხვა ადგილიდან ჩამოდიან, სამოთხ დღეს რჩებიან და უკან ბრუნდებიან. ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ თამაში მის დაწყებამდე აქვთ მოგებული. როგორც პარეირა ამბობს, ბრაზილიელთათვის ყველაზე ძნელი შესარჩევი შეჯიბრების მოგებაა და ამაში სავსებით ვეთანხმები. ვფიქრობ, ნაკრების მომავალ მწვრთნელს ისევ ძველი სირთულეები ელის. ამის გამოსასწორებლად, საჭიროა ბრაზილიაში ფეხბურთელებს აზროვნების წესი შეუცვალონ.“

ხოლო მადრიდში ცდილობენ რონალდოს შეუცვალონ ვარჯიშის წესი. ექიმების მეცადინეობით, „ბაჭია“ დარბაზიდან უკვე მინდორზე გავიდა, სადაც გუნდთან ერთად მეტ-ნაკლები წარმატებით ივარჯიშა. „რეალის“ მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს თქმით, რონალდოს გუნდთან შერწყმა მის ფიზიკურ ფორმასა და ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული, ხოლო კლუბის ექიმი ალფონსო დელ კორალი ბრძანებს, რომ თავდამსხმელი 23 სექტემბერს დელ ბოსკეს განკარგულებაში იქნება. გამოდის, რომ 25-ში, ჩემპიონთა ლიგაში, „გენკის“ წინააღმდეგ, რონალდო მოედანზე იქნება.

**ბაბუნა ძიდია**

# რაულმა მასწავლებლად უზნეო აირჩია

**მოტყუებულმა** და რონალდოს მიერ გაცურებულმა მილანელმა მულტიმილიონერმა მასიმო მორატიმ გაზეთ „ლა რეპუბლიკაში“ საჯარო კომენტარი გააკეთა იმის თაობაზე, თუ როგორ დატოვა მშრალზე ბრაზილიელმა თავად იგი და „ინტერის“ მთელი ფანობაც.

პირველ რიგში „შავ-ლურჯთა“ პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ თქვა — არ ყოფილა არავითარი კონფლიქტი რონალდოსა და მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს შორის. ფეხბურთელმა თავად გამოიგონა ყველაფერი, რათა „ინტერის“ ღალატი როგორმე გაემართლებინაო.

„ვეცადე, რონალდოს როგორმე დაველაპარაკებოდი და მისგან რაიმე შემეტყო, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა — თქვა თითქოსდა ყოვლისშემძლე კაცმა — რაც რონალდომ კუპერის შესახებ ილაპარაკა, ყველაფერი გამოგონილია. მან მთავარი შეცდომა იმაში დაუშვა, რომ მხოლოდ ფულზე ფიქრობს. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელი რეპუტაციას არ გაუფრთხილდა.

მორატის სრულებითაც არ უკვირს მადრიდის „რეალის“, რომელმაც დიდი ძალისხმევა ჩადო მსოფლიოს ჩემპიონის ხელში ჩასაგდებად. წესით და მორალით, თავად რონალდოს არ უნდა დაევიწყებინა „ინტერის“ ამაგი, როცა იგი ტრავმის გამო დიდი ხნით არ თამაშობდა.

„რონალდომ „ინტერის“ დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაშინ მან იფიქრა, რომ კვლავ მეფეა, თუმცა იქამდე რაც სჭირდა, ყველაფერი დაივიწყა“ — დაასკვნა ბოლოს გულგატეხილმა პრეზიდენტმა.

მორატი თავის დარდებთან მარტო დავტოვოთ და „რეალს“ გადავხედოთ.

ფლორენტინო პერესმა გუნდი კიდევ უფრო გააძლიერა, ხოლო რა ფეხბურთს ითამაშებს წლეულს კიდევ ერთი ვარსკვლავით შევსებული „რეალი“, ეს თავად ფეხბურთელებმა და მათმა მწვრთნელმა უნდა აჩვენონ.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ რონალდო-რაულის შემტევ წყვილზე. ამასთან დაკავშირებით ესპანურმა გაზეთმა „ასმა“ რეალის „ოქროს ბიჭუნას“ ამას წინათ ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც რაულმა ბევრი ისაუბრა რონალდოს დიდ ფეხბურთელობაზე და სხვა საკითხებსაც შეეხო.

**— ფერნანდო მორიენტესის ახლო მეგობარი ხართ, მისი „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლის ამბავი რომ გაიგეთ რა იფიქრეთ?**

— მორიენტესს არასდროს სდომებია „რეალიდან“ წასვლა, ისევე როგორც არცერთ რეალელს არ გვსურს „სანტიაგო ბერნაბეუს“ დატოვება. ბევრი ნატრობს ჩვენს ადგილზე ყოფნას, რადგან „რეალზე“ დიდი კლუბი დღეს არ არსებობს. ბოლო ხუთ წელიწადში სამჯერ მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა. როგორ გგონიათ, მორიენტესი ისურვებდა ასეთი გუნდის დატოვებას?



**— ალბათ, თავადაც არ მოგსვლიათ აზრად, „რეალის“ დატოვება...**

— არასოდეს. ჩემი სურვილია, მუდამ „რეალში“ ვითამაშო.

**— რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ 36 წლამდე აპირებს თამაშს. თქვენ რა ასაკამდე იქნებით აქტიურ ფეხბურთში?**

— მიმაჩნია, რომ ფეხბურთელს 34 წლამდე თავისუფლად შეუძლია, ჩინებულ ფორმაში დარჩეს. ამის მაგალითს რამდენსაც გნებავთ, იმდენს დაგისახელებთ...

**— ბოლო ხანს „რეალში“ სამი მსოფლიოს დონის ვარსკვლავი გადმოვიდა. ჯერ ფიგუ, მერე ზიდანი, ახლა კი რონალდო. ბრაზილიელთან საერთო ენის გამონახვა არ გაგიჭირდებათ?**

— სრულებითაც არა, პირიქით. მე, ზიდანს და ფიგუს ერთმანეთის გვერდით თამაში დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. ერთმანეთს უღიდეს პატივს ვცემთ. რაც შეეხება რონალდოს, მგონია, რომ მისგან ბევრ სასარგებლოს ვისწავლი...



# ბერტი ფოგთსის ლოგიკა

## მე კი წავალ, თქვენ რა გეშველებათ

**ჩვენი ნაკრების** პატრონმა სხვისი ნაკრების საქმიკოდ აბა, რა ნამუსით უნდა ამოიღო ხმა, მაგრამ შოტლანდიელ მამაც გულთა გადიდლგულებაზე რომ არ ითქვას, ისიც არ ეგების.

ბრიტანულმა ნაკრებმა გერმანელი ბერტი ფოგთსის თავკაცობით ექვსი მატჩი ჩაატარა და ერთის გარდა ყველაში მარცხი იგემა. ის ერთადერთი მატჩი, რომელიც სქოთებმა არ წააგეს, მსოფლიო რეიტინგში 123-ე ადგილოსან ფარერების ნაკრებთან სტუმრად ნათამაშები ფრე (2:2) იყო.

ევრო 2004-ის შესარჩევ ტურნირზე ასეთ დასაწყისს შოტლანდიური პრესა როგორ კომენტარსაც გაუკეთებდა, ჩვენი ნაკრების გადამკიდე, მიხვდებით. ბერტი ფოგთსმა კი ლანძღვა-გინების საპასუხოდ აი, რა განაცხადა: „გეზი ახალგაზრდა ფეხბურთელების მოწვევაზე უნდა ავიღოთ, თორემ ისეთ შედეგს მივიღებთ, რასაც წინა ორი შესარჩევი ციკლისას გამოვრჩით.“

მოგეხსენებათ, სქოთებმა ევროპისა და მსოფლიოს წინა ჩემპიონატებზე ვერ გააღწიეს.

„ახლა მიყიჟინებენ, გადადექიო. გარწმუნებთ, ამაზე ადვილი არაფერია, მაგრამ მე აქ იმიტომ ვარ, რომ შოტლანდიის ნაკრებს მოგება ვასწავლო და წაგება დავავიწყო“ — დასძინა ბერტი ფოგთსმა, ვინაც 1992 წელს გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფრანც ბეკენბაუერი შეცვალა და 1994 და 1998 წლების მუნდიალზე ვერაფერს მიაღწია. სამაგიეროდ, 1996 წლის ევროპის პირველობა მოიგო და საამაყოდ ეს აქვს.

**ზურაბ რუხაძვილი**

### ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ჩემპიონატის თვის საუკეთესო მოთამაშედ „ნიცას“ თავდამსხმელი კაბა დიავარა დაასახელეს. 26 წლის ფეხბურთელს დებიუტი მართლაც მეტად წარმატებული გამოუვიდა, ხუთი გოლის გატანა მოახერხა, მისი გუნდი კი ცხრილში მეორე ადგილზეა. კაბა დიავარას მრავალფეროვანი კარიერის დეტალებს შეგახსენებთ: საფრანგეთში იგი „ბორდოში“, „მარსელსა“ და „პარი სენ ჟერმენში“ თამაშობდა, ხოლო ინგლისში — „არსენალში“, „ვესტ ჰემსა“ და „ბლექბერნში“.

**ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ“ ქვედალიგელი „ბარნეტის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ისმაელ იაკუბუ გასასინჯად მიიწვია. 17 წლის ნიჭიერი მცველი რამდენიმე მატჩს ჩაატარებს მანჩესტერელთა სარეზერვო გუნდში და თუ მწვრთნელ კევინ კიგანს თავი მოაწონა, კონტრაქტსაც გაუფორმებენ. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, იაკუბუმ საერთოდაც „სიტის“ ძირითად შემადგენლობაში ამოყოს თავი, რადგან კიგანი დაცვის ხაზის გაძლიერებს ლამობს.**

**გერმანულმა** „შტუტგარტმა“ სამხრეთ ამერიკაში მზვერავები მიავლინა, ბრაზილიური „სანტოსის“ ნახევარმცველ დიეგოზე დასაკვირვებლად. სავარაუდოა, რომ ბუნდესლიგელებმა ფეხბურთელი ჯერჯერობით იჯარით აიყვანონ, ხოლო იანვრიდან, როცა სატრანსფერო სეზონი გაიხსნება, ნიჭიერ ფეხბურთელთან კონტრაქტიც გააფორმონ. „გერმანიიდან მართლაც მივიღეთ წინადადება, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერია გადაწყვეტილი“ — განაცხადა ნახევარმცველის მამამ და იმავდროულად მისმა აგენტმა.

**ესპანეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ხორდი ლარდინმა 29 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა. იქაურ პრესაში გავრცელებული ვერსიით, მან ახალი კლუბი ვერ იპოვა. ადრე ლარდინი „ესპანიოლში“ და მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობდა. პირველი კლუბიდან მეორეში ლარდინი 1997 წელს 6 მილიონ გირვანქად გადაბარგდა, თუმცა მადრიდულ კლუბში ხეირიანად დამკვიდრება ვერ მოახერხა, რადგან არ გაუმართლა და ავტოკატასტროფაში მოყვა. შემდეგ მისი კარიერა დაღმა წავიდა და ბოლო წლები „უელვასა“ და „ხერესში“ გაატარა.**

**ნამიბიის** ნაკრების ნახევარმცველი რაზუნდარა ტიკუზუ ბრემენის „ვერდერის“ ძირითადი გუნდიდან დაითხოვეს და უახლოეს მომავალში შესაძლოა, გაყიდონ. კლუბის განცხადებით, ფეხბურთელი დისციპლინის დარღვევისთვის დასაჯეს — ის სანაკრებო შეკრებიდან უკან, გერმანიაში დაგვიანებით დაბრუნდა. ახლა 22 წლის ფეხბურთელი სარეზერვო გუნდში ითამაშებს, სადაც ახალი კლუბის მოძებნამდე იქნება. „ვერდერის“ წარმომადგენლის ცნობით, აფრიკელს ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასაარჩევნო მამაძაღლობა



**ეკვადორელმა** მსაჯმა ბაირონ მორენომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავი იტალიისა და კორეის მატჩით დაგვამახსოვრა, ახლა კი, სამშობლოშიც იყოჩაღა — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დამსჯელებმა 20 მატჩით ჩამოაშორეს სასტვენს.

ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ მაფიას (ცხადია, იტალიურს) გრძელი ხელები აქვს, სიცილიიდან კიტოში წვდება და ეს ყველაფერი მუნდიალზე ჩადენილი ანტიიტალიური საქციელის გამოძახილია, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ჯერ ეკვადორულ ცხოვრებაში გავერკვეთ: კიტოში, „ლიგა დე კიტო" გუაკილის „ბარსელონას" მასპინძლობდა და 2:3-ს აგებდა, როდესაც მორენომ გადაწყვიტა საქმეში ჩარეულიყო და ჩარევის ერთ მეტად ორიგინალურ მეთოდს მიაგნო — მსაჯის მიერ წამატებული წუთები ერთი საფეხბურთო მატჩის თვალსაზრისით, დაუსრულებლად გააგრძელა. დროის ასტრონომიულმა ათვლამ გვაჩვენა, რომ წამატებული წუთი სინამდვილეში 13 იყო, მაგრამ 13 წუთი შესაძლოა სხვა რამესთვის იყოს ცოტა, 90 წუთის შემდეგ სარბენად კი ძალიან ბევრია. თან, ამ 13 წუთში მასპინძლებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს და 4:3 გაიმარჯვეს.

## ბაირონ მორენომ დროს გაუსწრო

ახლა, ამას კიდევ ერთი განმარტება მოვაყოლოთ: კიტოში ქალაქის საკრებულოს არჩევნები ახლოვდება, ხოლო სინიორ მორენო, არც მეტი, არც ნაკლები კანდიდატია, კენჭს იყრის. შესაბამისად, კიტოს გუნდის სასარგებლო მსაჯობით, მან ამომრჩეველთა გულები მოიგო, თუმცა... ფეხბურთის ფედერაციამ წინასაარჩევნო კამპანია დაუწუნა და მის ლიცენზიასაც კი შეეხო — ვნახოთ, იქნებ სულაც ავუკრძალოთ მოედანზე სასტვენით სირბილიო. თურმე ნუ იტყვით და, მორენოს, მატჩის ოქმში წამატებული წუთების რაოდენობა მოუტყუებია. ალბათ, ეგონა, რომ ეკვადორში საათის ცნობა მხოლოდ თვითონ იცის.

მაგრამ, მატჩის ბედში ჩარევის ახალ მეთოდს მორენომ, ვაი-ვაი, რომ ტრადიციული მეთოდებიც შეუზავა. კერძოდ, იმ შეხვედრაში მან ორი საეჭვო პენალტი (გასაგებია ვის კარშიც) დანიშნა, ორი ფეხბურთელი გააძევა და ზედაც ერთი გოლი ჯერ ჩათვალა, მერე — აღარ ჩათვალა.

და, საინტერესო რა არის იცით? ის, რომ ეკვადორული პრესა, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში მორენოს რომ აქებდა და იტალიის ნაკრებს დასცინოდა, ახლა ტონი იცვალა.

ერთი სიტყვით, არა გვგონია მაფიას (ცხადია, იტალიურს) კიტოელ მსაჯზე შურისძიების გარდა საქმე არ ჰქონდეს.

**ბაჩუნა ძიძია**

# გიხაროდენ!

## რედონდომ როგორც იქნა, დაიწყო

**დიახ,** „მილანის" თავგადაკლული ქომაგებისთვის საქმე ასეა. „როსონერის" საწვრთნელ ბაზაზე, მილანელოში, მისული რამდენიმე ასეული ტიფოზი თვალებს არ უჯერებდა — გუნდთან ერთად 33 წლის არგენტინელი ნახევარმცველი ფერნანდო რედონდოც ვარჯიშობდა.

2000 წლის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი ორი წლის წინ გადავიდა მადრიდის „რეალიდან" „მილანში" 14 მილიონ დოლარად. გადავიდა და ამ ხნის მანძილზე „შავ-წითელი" მაისურით ერთხელაც არ უთამაშია — პირველსავე ვარჯიშზე საშინლად დაიმტვრა.

არგენტინელმა მარცხენა მუხლზე სამჯერ გაიკეთა ოპერაცია და ფეხბურთის თამაშს ვინ ჩივის, ემანდ საერთოდ ხეიბარი არ დარჩესო, ამბობდნენ ექიმები.

შემდეგ იყო ვაჟკაცური ნაბიჯი, რედონდომ სილვიო ბერლუსკონის და ადრიანო გალიანის რომ განუცხადა: ფეხბურთს ვერ ვთამაშობ და კუთვნილ ხელფასზეც უარს ვამბობო. მისი საქციელით გაოცებულმა „მილანის" ბოსებმაც უპასუხეს, ეგრე არ იქნება, შენ ოღონდ თამაში დაიწყე და ყველაფერს უკლებლივ აგინაზღაურებთო. რედონდოს კაცურმა სიტყვამ მთელი მსოფლიო გააოგნა.

ახლა კი... ახლა ფეხბურთელი მოუთმენლად ელის თავის სადებიუტო მატჩს, გულმოდგინედ იხსენებს ბურთის გემოს და ესპანურ ჟურნალ „დონ ბალონის" კორესპონდენტსაც იმედიანი განწყობით ეუბნება: „თავს ჩინებულად ვგრძნობ. მართალია, სრული დატვირთვით ვერა, მაგრამ უკვე ბურთით ვვარჯიშობ. მე აუცილებლად დავბრუნდები. ფიქრობთ, მარკო ვან ბასტენივით ხომ არ დამემართება? ღმერთმა დამიფაროს, თუმც გამორიცხული არაფერია. 33 წლის კი ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ფეხბურთის თამაში კიდევ შემიძლია. სწორედ ეს მაძლევს მოტივაციას და ოპტიმიზმის საფუძველს" — დასძენს რედონდო.

ფეხბურთელი „მილანმა" წლეულსაც შეიყვანა საჩემპიონატო განაცხადში, რედონდოს, თუ ყველაფერი კარგად იქნა, 5-ნომრიანი მაისურით მოუწევს მინდორზე გასვლა. აი, ჩემპიონთა ლიგაში არგენტინელი იანვრამდე ვერ ითამაშებს: „მილანმა" უეფაში სალიგო განაცხადი ცოტა ადრე, რედონდოს პირველ ვარჯიშამდე გააგზავნა. ფეხბურთელს ზამთრის არდადეგებამდე მოუწევს მოცდა.



„დონ ბალონს" რედონდომ კლუბზეც უთხრა ორიოდ სიტყვა: „მილანი" დიდი გუნდია. როცა გუნდში შევჩენკო, რივალდო, ნესტა, რუი კოშტა, ზეედორფი, ტომასონი, ინძაგი და კიდევ ბევრი ძლიერი ფეხბურთელი გყავს, მწვერვალების დაპყრობა, ცხადია, შესაძლებელია. „მილანის" მიზანი წლეულს მხოლოდ სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა."

ერთი სიტყვით, ფერნანდო რედონდომ დაიწყო — ჯერ მხოლოდ ვარჯიში. მის მალე დაბრუნებაზე კი მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გახარებულმა თქვა: „ფერნანდო უნივერსალური ფეხბურთელია, მისი მოედანზე ყოფნით გუნდის შუახაზი უფრო მობილური და მყარი გახდება."

**გიორგი ვაშაძიძე**




☎ (231) 7 17 58

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიაოსთან"




# ალფა შობილი ევროპისგან

## ელადური ელეთმელეთი

**იმ საკაბელო** ტელევიზიების საქმე, სპორტიდან ფულის შოვნას რომ ემშურებიან, სულ უკან-უკან მიდის. მათი გაკოტრების ბოლო მსხვერპლი კი ბერძნული საფეხბურთო კლუბები გამოდგნენ — დასავლეთ ევროპაში მძვინვარე სტიქია საბერძნეთშიც შეიჭრა.

ჰოდა, საბერძნეთის პროფესიული ლიგის დიდმოხელეები და კლუბების წარმომადგენლები გუშინ საგანგებოდ შეიკრიბნენ ათენში. ბევრი ილაპარაკეს, იწრუწუნეს, მაგრამ კრიზისიდან თავის დაღწევის კონკრეტული და უსწრაფესი გზა მაინც ვერ იპოვეს.

ბერძნული ციფრული ტელეკომპანია „ალფას" გაკოტრების მიზეზი იგივეა, რაც გერმანიაში, ბრიტანეთში თუ იტალიაში გახლდათ. კლუბებმა ტელეტრანსლაციის უფლებების გაყიდვაში ლამის ორმაგი თანხა მოითხოვეს, „ალფაც" მცირე კორექტივებს დასჯერდა და კონტრაქტებიც გაფორმდა. შედეგად, ტელეგულშემატკივართა უმეტესობამ უარი თქვა „ალაფას" გაძვირებულ მომსახურეობაზე და გაკოტრების პროცესიც დაიწყო.

„ალფასთან" ხელშეკრულება დადებული აქვს ათ ბერძნულ კლუბს, მათ შორის ისეთ ცნობილ გუნდებს, როგორებიც არიან „ოლიმპიაკოსი", „პანათინაიკოსი", აეკ-ი და პაოკ-ი. მათგან, „ოლიმპიაკოსი" და აეკ-ი 13 მილიონ ევროს დაკარგავენ „ალფას" გაკოტრების გამო, ხოლო დანარჩენ რვა კლუბთან ტელეკომპანიას 1,7 მილიონევროიანი კონტრაქტები ჰქონდა.

საბერძნეთის მთავრობამ ხელები გაშალა — „ალფას" ფულის გადახდას ჩვენ ვერ ვაიძულებთ და ვერც რაიმე კომპენსაციას გამოვყოფთ კლუბებისთვისო.

თუმც მთავრობამ კლუბებსა და პროფესიულ ლიგას ურჩია, იქნებ სცადოთ და სახელმწიფო ტელეარხ ERT-სთან გააბათ მოლაპარაკება. ERT-ს შეუძლია, ჯამში დაახლოებით 30 მილიონი ევრო გამოჰყოს თუ ეს ათი კლუბი მასთან საქმეს დაიჭერსო.

არის სხვა ვარიანტიც — არსებობს კიდევ ერთი ფასიანი ტელეარხი „ნეტმედი", რომელიც საბერძნეთის პირველი დივიზიონის დანარჩენ ექვს კლუბს უხდის ფულს ტელეტრანსლაციების უფლებაში. მაგრამ „ნეტმედს" არ სურს ისეთივე თანხა გადაუხადოს ათ კლუბს, როგორსაც მათ ადრე „ალფა" სთავაზობდა.

**დავით თავართქილაძე**

# ერთი მგ მაისურა მომაწოდე!

**ბუენოს აირესის** ერთ-ერთ ქუჩაზე „პეჟო 206" მიზუზუნებდა. მასში „ბანფილდის" ფეხბურთელი ხორხე სერვერა და ორი მისი ძმაკაცი ისხდნენ. ბიჭები მუსიკას ხარბად ხვრეპდნენ, თან მუხლებზე ხელებს იტყაპუნებდნენ.

უეცრად „პეჟოს" თავ-ბოლოში ორი ავტომობილი „მიეწება". მალე ამ ორს კიდევ ორი მიემატა და ხორხე სერვერა იძულებული გახდა, დაემუხრუჭებინა. „ბანფილდის" ფორმაში გამოწყობილი ფეხბურთელი მანქანიდან ფეხისთრევით გადავიდა, ისევე როგორც მისი ძმაბიჭები.

გზისმოძრეულები რვანი იყვნენ. სერვერამ იცოდა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები მას რესტორანში დასაპატიჟებლად არ სწვეოდნენ. „შენი მაისური მოგვწონს, ბიჭო" — უთხრა რვიდან ერთ-ერთმა, რაზეც უარის ნიშნად გაჭეული თავი დაინახა, რადგან არ გვაძლევ მაისურიანძმაბიჭებიანად წაგიყვანთო.

„დიპლომატიურ" საუბარში „რვა ლულა" ჩაერია. სერვერა ორ დაშინებულ მხლებელთან ერთად გაიტაცეს. ეჭვი მაქვს, გამტაცებლებმა 1200-ზე ზევით თვლა არ იცოდნენ, რამეთუ სწორედ ამდენი დოლარი მოითხოვეს ფეხბურთელის გამოსასყიდად.

სანამ ესენი ვაჭრობდნენ, ქალაქის პოლიციამ ბანდის ბუდე გამოჩხრიკა. ნარჩევი ბიჭები შეკრიბეს და გატაცებულთა გამოსატაცებლად გაეშურნენ. იქ ისეთი სროლა ამტყდარა, ორი პისტოლეტი თურმე ხელში შემოაღნათ. თან ეს ამბავი ღამე მომხდარა. სროლის ადგილის გარშემო ისე განათებულა, ქალაქელებს უფიქრიათ, რამე დღესასწაული ხომ არაა და ჩვენ გამოგვრჩაო.

მოკლედ, ეს ბათქაბუთქი იმით დასრულდა, რომ ხოსე სერვერა ძმაბიჭებითურთ გაათავისუფლეს. რვიდან ორნი გაუბაწრავთ, დანარჩენებს ეძებენ.

**გაჩა ხუციშვილი**

# საქმე იქით მიდის, დავით უგრეხელიძე ევროლიგაში მიდის



დავით უგრეხელიძე

**ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ** ევროლიგაში თამაში ქართველთაგან მხოლოდ ულქერელ ზაზა ფაჩულიას აქვს განაღდებული, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ზაზა მარტო აღარ იყოს. ის მეორე „ბენეტონის" ძირითადში დასამკვიდრებლად მებრძოლი მანუჩარ მარკოიშვილი არ გეგონოთ. ვგულისხმობთ საქართველოს ნაკრების ცენტრ დავით უგრეხელიძეს.

უგრეხელიძე ახლა საბერძნეთშია და ბოლო ჩემპიონატის მეხუთეადგილოსან „პანიონიოსში" ვარჯიშობს. მან სლოვენიურ „სლოვანიდან" წამოსვლა მას მერე გადაწყვიტა, რაც ზაფხულში „პანიონიოსში" გასასინჯად მყოფს იქაურებმა უთხრეს, მზად ვართ, გუნდში ჩაგრიცხოთო. მაგრამ სანამ ბერძნულ კლუბებსა და ფედერაციას ტრანსფერებთან დაკავშირებული საკამათო საკითხები არ გაურკვევიათ, უგრეხელიძეს კონტრაქტს ვერ უფორმებენ, თუმც ამის სურვილი რომ აქვთ, იქიდანაც ჩანს, რომ საცაა თვე გახდება, რაც ჩვენებური „პანიონიოსთან" ვარჯიშობს.

საბერძნეთში მეხუთეობა არ იძლევა ევროლიგის საგზურს და „პანიონიოსიც", ცხადია, ვერ მოხვდა იმ 24 გუნდს შორის, ივლისში ევროლიგის მამებმა 3 ჯგუფში რომ გაანაწილეს. ახლა კი ირკვევა, რომ უგრეხელიძის მომავალი კლუბი თუ მოისურვებს, ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში უპრობლემოდ ითამაშებს და ამის მიზეზი საბერძნეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან „ირაკლისის" ფინანსური პრობლემებია.

„ირაკლისმა" სწორედ „პანიონიოსთან" ჭიდილში მოიპოვა ბერძენთათვის საევროლიგოდ გამოყოფილი მეოთხე საგზური, მაგრამ დადგენილ ვადაში ვერ წარადგინა ბანკიდან საგარანტიო ფურცელი და ტურნირიდანაც მოიკვეთა. ის კი არა, „ირაკლისს" საჭირო საბუთის წარსადგენად ვადა 5-ჯერ მოუნაცვლეს და როცა მაინც ვერაფერს გამორჩნენ, ევროლიგის ხელმძღვანელობამ უპირო-უსახსრო გუნდის ნაცვლად ტურნირში მონაწილეობა „პანიონიოსს" შესთავაზა.

ახლა სიტყვა „პანიონიოსზეა". რაც „ირაკლისმა" ვერ მოახერხა, იმის გასაკეთებლად პანიონიოსელებს ბოლო ვადად 13 სექტემბერი დაუდგინეს. ასე რომ, თუ „პანიონიოსმა" ევროლიგის მამებს საგარანტიო წერილი ახლა და აქეთ ჩვენებურსაც კონტრაქტი გაუფორმა, უგრეხელიძე ევროელიტარულ ტურნირშიც მოსინჯავს ძალებს. ვნახოთ...

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲠᲢᲐᲘᲐ**






ბელგრადელები მეხუთე ჩემპიონობას აღნიშნავენ

# იუგოსლავია დღე-სასწაულს შეეჩვია

## ARGENTINUM ვერცხლის ქვეყანა

**ᲙᲕᲘᲠᲐᲡ** ბელგრადში ისროდნენ. ისროდნენ თოფებს, შაშხანებს, მაშხალებსა და ვინ დაადგენს, კიდევ რას. მაგრამ ეს არ იყო დედამიწის ამ ომიან კუთხეში ყოველდღიურობად ქცეული მომაკვდინებელ დამანგრეველი სროლა. ბელგრადელები საკალათბურთო მსოფლიოს დაპყრობას ზეიმობდნენ.

იმ საღამოს იუგოსლავიის დედაქალაქის მთავარ ქუჩებსა და მოედანზე იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ სლობოდან მილოშევიჩის იმპიჩმენტის მომხრეებსაც შეშურდებოდათ. ორ უზარმაზარ ეკრანს 150 ათასი კაცი მიეჯაჭვოდა და როცა იუგოსლავიელ შორეულ ამერიკაში იჩემპიონეს, კიდევ მრავალმა მიაშურა ქუჩას.

არგენტინასთან ფინალური მატჩის მსვლელობისას ბელგრადი გმინავდა. თითოეულ არგენტინულ ქულას სლავები ოხვრით ხვდებოდნენ. ბოდიროგა, სტოიაკოვიჩი ან ვინმე მოძმე თუ ჩააგდებდა, ხალხი ხმისჩახლეჩამდე ყვიროდა, მაშხალებსა და ზალპებს უშვებდა, კანტიკუნტად თოფიც იქუხებდა-ხოლმე.

სანამ ბოდიროგას თუ მსაჯის შეწევნით იუგოსლავები მატჩს ოვერტაიმში გადაიყვანდნენ, ბელგრადში შეკრებილებმა ერთი სიცოცხლე გაათავეს, მერე კი... ჩემპიონები პოდიუმისკენ გაემართნენ, ქომაგნი კი ბელგრადის მთავარი მოედნისკენ დაიძრნენ, სამფეროვან დროშებს ქუჩები წაელეკა, მძღოლებს სასიგნალო ღილაკზე მიეწვათ ხელი, ცა მაშხალებს ისე დაესერა, ვინმე შინ დარჩენილ ტუტუცს ეგონებოდა, ისევ ამერიკელებმა შემოგვიტიესო. შედეგად გიგანტურ საცობები გაჩნდა, მაგრამ საზეიმო მსვლელობა ამას დიდად არ შეუფერხებია. ხალხი მთავარ მოედანზე მოქუჩდა და მთელი ღამე ზეიმობდა გამარჯვებას.

ამდენ ხალხს, ცხადია, ხულიგნებიც გამოერივნენ. ასეთთა ხელით ათეულობით საგაზეთო კიოსკი ამოფარავდა და ამდენივე მაღაზიის ვიტრინა შეილეწა. პოლიციას არ ეძინა და თავაშვებულთა ზეიმი საკნებში გაგრძელდა. ბელგრადი კი ისროდა, მღეროდა, ყვიროდა, ცეკვავდა...

ამ დროს მხიარულება და ხალისი მეფობდა ჩვენი პლანეტის საპირისპირო ნახევარსფეროშიც. გაძარცული და გავერანებული ქვეყნის, ვერცხლის მიწად წოდებული არგენტინის გათანგული შვილები კალათბურთელთაგან მსოფლიო ვერცხლის მოხვეჭას ზეიმობდნენ.

ბუენოს აირესის აეროპორტში ათასამდე გულშემატკივარი შეეგება ინდიანაპოლისში ნაყოჩაღებ კალათბურთელებს. ქომაგთ აეროპორტის ვესტიბიული გავსოთ და ამერიკასთან ისტორიული გამარჯვების შემძლეთ ხალხმა ჩემპიონების საკადრისი დახვედრა მოუწყო.

„ისინი უჩუმრად, მოკრძალებით გაემგზავრნენ ინდიანაპოლისში, უკეთეს შემთხვევაში მეექვსე ადგილის იმედით, თუმცა სამშობლოში ეროვნულ გმირებად დაბრუნდნენ, ნამდვილ ჩემპიონებად" — აცხადებს არგენტინული პრესა.

ამავე აზრისაა არგენტინელთათვის კერპადქცეული ემანუელ ჯინობილი, რომელმაც აეროპორტში განაცხადა: „საუკეთესონი ვიყავით, მაგრამ ოქროს მედლები ჯიბიდან ამოგვაცალეს. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელთა ძლევით ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ და მსაჯთა უნამუსობა ხასიათს იმდენად ვერ გვიფუჭებს".

ეს ზარ-ზეიმს მხოლოდ დასაწყისია. ფაქტობრივ „მსოფლიოს ჩემპიონებს" არგენტინის პრეზიდენტი მიიღებს და მთელი ერის სახელით გადაუხდის მადლობას. საპრეზიდენტო აუდიენციიდან კალათბურთელებს ჟურნალისტები დაინაწილებენ და სხვადასხვა სატელევიზიო არხის გადაცემებში წარმოაჩენენ.

მაგრამ შოუ არც აქ და დამთავრდება. საგანგებოდ ემზადება ბუენოს აირესის მერია, რათა ქალაქის მთავარ მოედანზე გმირებს პატივსაცემად დიდი სანახაობა მოაწყოს. პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი არგენტინელთათვის იმ საღამოს არ იარსებებს.

არგენტინელებს ახლა ისღა ანაღვლებთ, რომ საერთოსახალხო შეხვედრას ყველა კალათბურთელი ვერ დაესწრება. რამდენიმე მათგანი (ვოლკოვიცკი, სკოლა) ამერიკელებმა მცირე ხნით შეაფერხეს და კონტრაქტზე ჩამოუგდეს სიტყვა... არგენტინის კალათბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ნაკრებს სპონსორი გამოუჩნდა და წლის ბოლომდე კალათბურთელები პრემიებსაც მიიღებენო. ოღონდ ეს თანხა ქართული საზომითაც კი მცირეა — მეტი რა მოეთხოვება კერძო ფირმას, რომელიც შიდასაქვეყნო კატასტროფული ინფლაციის პერიოდში 70 ათას დოლარს გამოდის. ამ მცირე თანხას მთელი გუნდი გაინაწილებს.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲩᲘᲫᲔ**

*დიდი სიამოვნებით დაივიწყებდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილ კრახს ამერიკელები. ნბა-ს მოახლოებული სეზონი წუხილის განქარვების შესანიშნავი საშუალებაა და ოკეანგაღმურ საინფორმაციო საშუალებების გვერდებზე საჩემპიონატო ჭმუნვით და მოთქმით გაჟღენთილ წერილებს თანდათან ნბა-ს რეგულარული სეზონის წინა „ნიუსები" ცვლის*

# ეს იქ გადავიდა. ის აქ გადმოვიდა

## პატრონი ნარკომან, ზარმაც და გასუქებულ შონ კემპსაც გამოუჩნდა

**ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ** კვირის წინ „პორტლენდიდან" გამოგდებული ზარმაცი და ჩაპუტკუნებული შონ კემპი „ორლანდო მეჯიქს" აეკიდა ტვირთად. რატომღაც „ორლანდოში" მთლად ასე არ თვლიან. ჩანს, ყოფილი სუპერვარსკვლავის კვლავ გაბრწყინების იმედი აქვთ და იოლად გაუფორმეს კონტრაქტი. მხარეებს არ გაუხმაურებიათ კონტრაქტის პირობები, თუმცა ადვილი მისახვედრია, „ორლანდოსთან" შეკრული კემპი იმდენ მილიონს ვერ მოიხვეჭს, რამდენსაც ძველ გუნდებში, „პორტლენდსა" თუ „კლივლენდში". ამ გუნდებს წელში სწყვეტდათ დადებული ხელშეკრულებები.

„ჩვენი ურთიერთკავშირი სარგებლობას მოუტანს როგორც კლუბს, ასევე შონს. მისი სიმაღლე და გამოცდილება ერთობ წაგვადგება. „მეჯიქს" სწორედ ეს სჭირდება. პარალელურად ჩვენს გუნდში დასადგურებული მეგობრული ატმოსფერო შონს საკუთარი თავის პოვნასა და უწინდელ დონეზე ამაღლებაში დაეხმარება". — თქვა „ორლანდოს" ახალგაზრდა თავკაცმა დოკ რივერსმა, რომელიც კემპის ბრწყინვალების დროს თავად კალათბურთელი გახლდათ და მის შესაძლებლობებს კარგად აფასებს. იგი თვლის, რომ მოწყვეტილი ვარსკვლავი კი არ უნდა გაავდო და ასე, ხელის ერთი მოსმით გადაჭრა პრობლემა, ყველაფერს ხაზი გადაუსვა, არამედ მას ძველი ადგილის პოვნაში უნდა დაეხმარო.

ისე კი, სანამ „პორტლენდი" გააგდებდა, კემპმა თავად გადაუსვა ხაზი საკუთარ თავს, როცა სამი-ოთხი წლის წინ მოედანზე ფრენას თავი ანება და ნარკოტიკების საშუალებით იწყო ფრენა. ზედიზედ ექვსგზის ოლსტარელმა, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მეორე „დრიმ თიმში" ერთ-ერთმა ლიდერმა და 1996 წლის ნბა-ს ფინალის მონაწილემ ფარების მტრობაზე ხელი აიღო და კოკაინს დაუმეგობრდა. ამ ერთი წლის წინ, სეზონის მსვლელობისას, როცა მისი პორტლენდელი თანაგუნდელები ოფლს იღვრიდნენ, კემპი კლინიკაში იყო და ნარკომანიას მკურნალობდა. ახლა ამბობს, ამ მავნე სენისგან გავიწმინდეო და ეგებ არც ტყუის, მაგრამ სად დამალავს ზედმეტ წონას და ნიკაპქვეშ და მუცელზე გაჩენილ ქონის ნაკეცებს?

ამ დღეებში კიდევ რამდენიმე უგუნდო მოთამაშემ იპოვა ნავსაყუდელი. ჩვენებური ვოვა სტეფანიას „მაიამი ჰითმა" გაურკვეველი ვადით და გაურკვეველი თანხის საფასურად აიყვანა ჩიკაგოელი თავისუფალი აგენტი, 180-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი ტრევის ბესტი და ფაქტობრივად დაასრულა დაკომპლექტება. ბესტი შორსა დგას „ჰითის" მწვრთნელ პატ რაილისთვის იდეალური გამთამაშებლისგან. რაილი თავის დროზე 206-სანტიმეტრიან ლეგენდარულ გამთამაშებელ მეჯიქ ჯონსონს თავკაცობდა და ახლა იძულებულია, მომცრო ბესტით დაკმაყოფილდეს. სხვა ყველა მძლავრი გამთამაშებელი უკვე დასაქმებულია.

ბესტი მასაჩუსეტსის შტატის სახელოვან ქალაქ სპრინგფილდიდანაა, სადაც სულმნათ ჯეიმს ნეისმიტს საუკუნის წინ კალათბურთის პირველი წესები დაუწერია და სადაც ახლა ამაყად წამოჭიმულა კალათბურთის დიდების დარბაზი. მოკლე ტანთან ერთად ბესტი ვერც დიდი კალათბურთელია და ვერც მოხვდება იმ ტაძარში, რომელსაც ადრეული ბავშვობიდან შენატროდა, მაგრამ ის ახლა არც „მაიამი ჰითის" ხუთეულში მოხვედრაზე იტყოდა უარს.

ბესტი შვიდი წელია, ნბა-ს ორ გუნდში — „ინდიანასა" და „ჩიკაგოში" ბურთაობს და ამ ხნის განმავლობაში ჩატარებულ 499 მატჩში საშუალოდ 8,2 ქულა და 3,9 პასი შეუგროვებია. „მაიამიში" მისგან ცოტა მეტს ელიან.

ცხრაწლიანი ერთგულების შემდეგ „იუტა ჯაზს" გაეყარა ლეგენდარული ბილ რასელის მოგვარე ბრაიან რასელი და ახლა მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონ ვიზარდსს" შეეკრა, რა ხნით, ჯერჯერობით უცნობია. რასელი ასაკით 31 წლისაა და ამპლუით ჩვენებურად ფრთა, მშობლიური ტერმინოლოგიით კი მსუბუქი ფორვარდია და თუ რამე ტრავმის მსგავსი მარცხი არ შეემთხვა, „ვაშინგტონის" სასტარტო ხუთეულში დაიკავებს ადგილს.

აქვე ვთქვათ, რომ ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია მაიკლ ჯორდანის მომავალი. 39 წლის ლეგენდამ რამდენიმე თვის წინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ არ გადაუწყვეტია, დაუბრუნდეს თუ არა მოედანს. მან ყოველ შემთხვევაში „ვაშინგტონის" მწვრთნელ დუგ კოლინზს უთხრა, გუნდი ისე მოამზადე, ჩემი დახმარების იმედად არ ალიჭურვო, თუ მოვახერხე თამაში, ხომ კარგი, ვერადა გული არ დაგწყდებათო.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲧᲨᲕᲘᲚᲘ**



გაზულუქებულ შონ კემპს ჯერაც არ აკლია ყურადღება

ვუელტა 7 - 29 სექტემბერი

# სუპერმარიოს სუპერ დღე-ღამე

## ჩიპოლინიმ რამდენიც გაიღვიძა, იმდენი გაიმარჯვა


REUTERS

მარიო ჩიპოლინი

**მეოთხე** ეტაპი კვლავ მარიო ჩიპოლინისთვის გამოდგა იღბლიანი. 35 წლის ვეტერანმა ერთი დღე-ღამის განმავლობაში ზედიზედ ორი ეტაპის მოგება მოასწრო.

1989 წლიდან მოყოლებული იტალიელი სპრინტერი ჯიროს 40, ხოლო ტურ დე ფრანსის 12 ეტაპზე იყო პირველი.

— ფინიშამდე 200 მეტრით ადრე იდეალურ პოზიციაში აღმოვჩნდი. დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო, — თქვა მარიომ ფინიშის შემდეგ და დაამატა, — ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თანაგუნდელების წყალობით მოხდა, მთელი გზა მიფრთხილდებოდნენ და კარგ პოზიციაზეც მათი თავდადების მეშვეობით აღმოვჩნდი.

ამასობაში, უფრო ზუსტად, იმ შუალედში, სანამ 23 გუნდი მორიგი, ძალზე რთული მთის ეტაპისთვის ემზადებოდა, ცნობილი გახდა, რომ ჯიროს წლევანდელი გამარჯვებული პაოლო სავოლდელი მომავალი სეზონიდან გერმანული „ტელეკომის" ლიდერი გახდება. რაც შეეხება იან ულრიხს, ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ ტურის 1997 წლის ჩემპიონი, როგორც ჩანს, დაარღვევს კონტრაქტს „ტელეკომთან". თუმცა დასარღვევიც ბევრი არაფერია — 2003 წელს ამ კონტრაქტს ისედაც გაუვა ვადა.

ვუელტაზე კი ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. სერიოზული ცვლილებები მეხუთე ტურშია მოსალოდნელი და ცხადია, რომ ეს ეტაპი ერთობ მოკრძალებული, მაგრამ მაინც პროგნოზების საშუალებას მისცემს სპეციალისტებს. მანამდე კი მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას. ვუელტას ყველა შემთხვევაში მოიგებდა ხოსება ბელოკი, ორი თვის წინანდელ ტურ დე ფრანსში მონაწილეობის მძიმე ტვირით რომ არ ეკიდოს ზურგზე. ყველაზე უფრო მომგებიან პოზიციაშია ვუელტას შარშანდელი გამარჯვებული ანხელ კასერო — ის არც ჯიროში გამოსული, არც ტურში უღვრია ოფლი, ვარჯიშობდა და ალბათ ერთადერთი მიზნით — ესპანელს ესპანური წრის მეორედ მოგება უდევს გულში.

კიდევ ოთხ სპორტსმენს აქვს რეალური შანსი, იბრძოლოს საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის — ოსკარ სევილიას („კელმე"), ფრანსისკო მერკადოს („ბანესტო"), რობერტო ერასს (US პოსტალი) და სანტიაგო ბოტეროს („კელმე").

და კიდევ. გუნდებისა და, შესაბამისად, სპორტსმენთა რაოდენობით წლევანდელი ვუელტა აშკარად ჯობს მის წინამორბედებს — 23 გუნდი და 207 სპორტსმენი! ასეთი პელოტონის ყურება მართლა ერთ რამედ ღირს!

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ტექნიკური შედეგები

**IV ეტაპი აგილასი — როკეტასი 149.5კმ**

| | |
|---|---|
| 1. მარიო ჩიპოლინი („აკვა-საპონე", იტალია) | 3 სთ 33 წთ 32 წმ |
| 2. ალესანდრო პეტაკი („ფასა ბარტოლო", იტალია) | იგივე დრო |
| 3. გერიტ გლომსერი („საეკო", ავსტრია) | იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | 11 სთ 07 წთ 11 წმ |
| 2. მიკელ სარაბეტია („ონსე", ესპანეთი) | იგივე დრო |
| 3. იგორ გონსალეს გალდეანო („ონსე", ესპანეთი) | იგივე დრო |


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა





ელდარ კურტანიძის მარწუხებში ის ოქრო მოპყვა, კარგა ხანია, მასზე ილალი რომ იყო

# ელდარ კურტანიძე ერთან და ზერთან პირნათელია

*ღმერთს აღუთქვა სპარსული ოქრო და აასრულა. ეკუთვნოდა და მოიგო. ნაბიჯ-ნაბიჯ, შრომით, წვალებით მიიწევდა მწვერვალისკენ და ავიდა. ცალკე აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მამაზე ფიქრობდა, ცალკე საჭიდაო დარბაზში ოფლს იღვრიდა. დიდხანს ელოდა ამ დღეს და აი, ელდარ კურტანიძე მსოფლიოს ჩემპიონია. თეირანში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობაზე ქართველი ფალავანი ჩემპიონი გახდა. ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადების ბრინჯაოს მედლებს და ევროპის ოთხ ოქროს 30 წლის კურტანიძემ ეს ტიტულიც მიამატა. ელდარის კოლექციას ახლა ოლიმპიური ოქროღა აკლია და თეირანის ჩემპიონატის გმირი „სარბიელთან" ინტერვიუში ქართველ ქომაგს ამასაც ჰპირდება*

— მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი, ენით აღუწერელი სიხარულის გრძნობა დამეუფლა. ხალიჩასთან მწვრთნელები — ზაზა თურმანიძე და გია გალდავა იდგნენ. ორივეს ცრემლები სდიოდა. მაშინ გავიაზრე, რამხელა წარმატებას მივაღწიე. ფინალში ჭიდაობისას ტაბლოს შევხედე, ბრძოლის დასრულებამდე ცხრა წამი რჩებოდა. ამოვისუნთქე, რომ იტყვიან, დიდი ტვირთი მოვიშორე, მივხვდი, ირანელი ჩემი მომგები აღარ იყო. ამ გამარჯვებას სრულიად საქართველოს და აფხაზეთის ომში დაღუპულ მეგობარ დავით ცირეკიძეს ვუძღვნი.

**— ფინალში ძალიან გაგიჭირდათ...**

— ალირეზა ჰეიდარი ირანელთა კერპია. იგი მსოფლიოს ჩემპიონია და თეირანში აღმერთებენ. საგანგებოდ მის მხარდასაჭერად დარბაზში აურაცხელი ხალხი მოვიდა. დაახლოებით ხუთი ათასი ქომაგი მთელი ბრძოლა წამითაც არ გაყუჩებულა. ფინალში ჩემი გამარჯვება მშიერი ლომისთვის ლუკმის წართმევის ტოლფასი იყო. თან ირანში ჭიდაობა იგივეა, რაც ბრაზილიაში ფეხბურთი. იქაურები თვალებს არ უჯერებდნენ, ვერ წარმოედგინათ, რომ მათი ჯილა დამარცხდა. ჰეიდარი ცბიერი და გამოცდილი მოჭიდავეა. რამდენჯერმე სცადა პროვოკაციაზე ჩემი წამოგება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბრძოლის ბოლოს მსაჯებმა გამაფრთხილეს და ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ირანელი გულშემატკივარი ცოტათი დაეწყნარებინათ. სხვა მხრივ მსაჯებზე აუგი არ მეთქმის, ის კი არა, მსაჯებმა ჰეიდარიც გააფრთხილეს, რამაც დარბაზში გამაყრუებელი სტვენა გამოიწვია.

**— ფინალამდე ოთხი ბრძოლა მოიგეთ. რომელ მეტოქეს გამოარჩევდით?**

— გიორგი გოგშელიძეს. რუსეთის სახელით ჭიდაობს და ძალიან გამოცდილია. არც შეკრებები აკლია და არც ნორმალური ვარჯიში.

**— თქვენს გაჩემპიონებას როგორ გამოეხმაურნენ ირანში?**

— ვერ წარმოიდგენთ, რა პოპულარული გავხდი თეირანში. ქუჩაში ხალხი მაჩერებდა და ავტოგრაფებს მთხოვდა. ერთხელ სამანქანო მოძრაობაც კი შეფერხდა. ვიღაცამ მიცნო, მანქანა შუა გზაში გააჩერა და ლაპარაკი დამიწყო. ერთმა ვიდეოფირიც მაჩუქა, რომელზეც თეირანში ჩატარებული ჩემი ყველა ბრძოლა იყო ჩაწერილი. სხვათა შორის, ჩვენ ბრძოლებს ასამდე ფერეიდნელი ქართველი ესწრებოდა. ისინი საგანგებოდ ჩვენს მხარდასაჭერად იყვნენ თეირანში ჩასულები. თანაგუნდელმა რეზო მინდორაშვილმა მითხრა, ფინალი რომ არ მოიგო, ამ ხალხს ძალიან აწყენინებო. ესეც სტიმული იყო ჩემთვის და თავი არ დამიზოგავს. ისე, ირანელებმა ფერეიდნელ ქართველებს ფინალში წაართვეს ტრანსპარანტები, სადაც ეწერა — ფერეიდნელი ქართველები თქვენთან ვართ! მართალია, იმათი ხმა ხუთი ათასი ირანელის ყიჟინას ვერ ფარავდა, მაგრამ მათი დარბაზში ყოფნა უკვე ბევრს ნიშნავდა. ფინალის მერე გასახდელთან მოგროვდნენ და ვილაპარაკეთ. გვითხრეს, რომ ქართული ენა კარგად იციან. ქართული ლიტერატურა და სასკოლო წიგნები ძალიან ცოტა გვაქვს, მაგრამ მშობლიურ ენას თაობიდან თაობას გადავცემთო. ცრემლები მოგვადგა, როცა მათ მონაყოლს ვისმენდით.

**— ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადების ბრინჯაოსანი და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ხართ. მსოფლიოს ჩემპიონი კი პირველად გახდით. აქამდე რატომ ვერ ახერხებდით ამას, მანამდეც ხომ იგივე კონკურენტები იყვნენ, ვინც წლეულს...**

— ალბათ, საამისოდ მომწიფებული არ ვიყავი. შარშან ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი, ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა მიმიწვია პირდაპირ ეთერში. მაყურებელმა მკითხა, კიდევ გაქვს იმედი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდებიო. ვუპასუხე, მაქვს და ჩემპიონიც გავხდები-მეთქი. თეირანში ფინალამდე ისე მოვიგე ბრძოლები, მეტოქეს ქულაც არ დავანებე. მხოლოდ ჰეიდარმა ამართვა ერთი ქულა. არადა, ისეთი მეტოქეები შემხვდნენ, როგორებიც არიან თურქი ფათიჰ ჩაქიროღლუ და პოლონელი ბარტოთოლომეო ბარტნიცკი. ორივე მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორია. ვინც კი ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო, ყველა მე შემხვდა და ყველას მოვუგე. ამიტომაც ჩემი გამარჯვება ორმაგად მახარებს. თანაც, როცა ტურნირისთვის ვემზადებოდი, ისეთი პირობა დავდე, რომ...

**— რა პირობა იყო ისეთი?**

— შეკრებაზე ვიყავით. ჩვენმა მეგობარმა ზურაბ კახაბრიშვილმა აიკვიატა, ვარძიაში წავიდეთო. იქ ერთ ეკლესიაში შევედით და ვილოცეთ. მორჩილმა სანთლები და ხატები გვაჩუქა. მერე, რომ გაიგო, სადაც მივდიოდით, მოგვიყვა, რომ სპარსელებს ეს ეკლესია დაურბევიათ და ოქროს ჯვარი წაუღიათ. ჩვენ შევპირდით, რომ იმ ჯვარს ვერა, მაგრამ ოქროს მედალს თეირანიდან ჩამოვიტანდით. პირობა შევასრულეთ. ეკლესიასთან და ღმერთთან პირნათელნი ვართ.

**— მსოფლიოს ჩემპიონობა აისრულეთ, წინ ათენის ოლიმპიადაა. ალბათ, ის თქვენთვის ბოლო ოლიმპიადა იქნება...**

— მართალია. სამ წელიწადში ჭიდაობას თავს ვანებებ. ათენში ვიჭიდავებ, მერე, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოვალ და ამის შემდეგ კარიერას დავასრულებ. მსოფლიოს ჩემპიონობა ბავშვობის ოცნება იყო. რომ გავიგებდი ვინმეზე, მსოფლიოს ჩემპიონი გახდაო, ზეკაცი მეგონა. მეც მინდოდა, მათ შორის ვყოფილიყავი და დიდი შრომის ფასად ოცნებაც ავისრულე. ახლა მჯერა, გაჭირვებისა და სიდუხჭირის მიუხედავად, შეგვიძლია დიდ წარმატებას მივაღწიოთ და ერი გავახაროთ. ამ ჩემპიონატმა რწმენა დამიბრუნა. ათენის ოლიმპიადაზე მარტო ოქროს მედალი გამახარებს. გპირდებით, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდები და მერე ჩემი გზით წავალ.

**ბაჩო სვანიძე**

რაგბი



მამუკა მაგრაქველიძე უკლუბოდ არ დარჩება

# ცხოვრება გრძელდება

## მაგრაქველიძე კლუბის არჩევაშია

**დოპინგის** უკანონო ტრანსპორტირებაში ეჭვმიტანილი მამუკა მაგრაქველიძის საქმე კვლავ ძიებაშია. გამოძიება ალბათ 3-4 თვე გაიწელება. ასეთია საფრანგეთში მცხოვრები საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ზაზა ქასაშვილის ვარაუდი. დოპინგ-სკანდალის აგორების დღიდან ქასაშვილი თვალყურს ადევნებს ძიებას. სანამ პროკურორები საქმეს ბოლომდე შეკრავენ და სასამართლოს გადასცემენ, მაგრაქველიძე ხელმეორედ შემოწმდა დოპინგ-ტესტებით.

— მამუკას სისხლი სუფთაა, ეს განმეორებითმა დოპინგ-სინჯებმაც დაამტკიცა. მაგრაქველიძეს ამის გაკეთება პროფესიონალი მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტმა სერჟ სიმონმა ურჩია. ეს ორგანიზაცია გვერდში უდგას მამუკას და იურიდიულ სამსახურსაც სთავაზობს — გვითხრა ზაზა ქასაშვილმა, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

ქასაშვილის თქმით, პროკურატურა ისევ ასაიდუმლოებს ძიების პროცესს და რაიმე სიახლე სააშკარაოზე არ გამოაქვს. არაოფიციალური ინფორმაციით კი, მაგრაქველიძის გამართლებას წინ ბევრიც არაფერი უდგას.

სანამ პროკურატურა და სასამართლო საბოლოო სიტყვას იტყვიან, მანამდე მაგრაქველიძეს თამაშის ნება დართეს. „სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მას შეუძლია, ნებისმიერ გუნდთან გააფორმოს კონტრაქტი. სპორტული თვალსაზრისით ეს სასურველია. თუ სასამართლო მაგრაქველიძეს დამნაშავედ სცნობს, მაშინ ჩვენ უმკაცრესად დავსჯით, მორაგბის ლიცენზიას გავუუქმებთ" — განაცხადა საფრანგეთის ეროვნული ლიგის დირექტორმა არნო დაგორნემ.

საფრანგეთის რაგბის ფედერაციის გენერალური მდივანი ალენ დოუშე: „თუ მაგრაქველიძე უდანაშაულოა, ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით. გამოძიების დასრულებამდე მას უფლება აქვს, საფრანგეთის ჩემპიონატში ითამაშოს".

რაც „ბრივმა" მაგრაქველიძეს კონტრაქტი გაუუქმა, ჩვენებური უმუშევარია და ახალი კლუბის ძიებაშია. საბედნიეროდ, დოპინგ-სკანდალში გარეულ ქართველს მალევე გამოუჩნდნენ მსურველები.

საქართველოს ნაკრების მორკინალის შემატება მამუკას ბრივამდელ გუნდს „ოშს" განუზრახავს. „ოშში" დაბრუნების სურვილი თავად მარგქველიძემ გამოთქვა და არც კლუბია წინააღმდეგი, თანაც გუნდის მწვრთნელი ჩვენებურის ძველი და კეთილი ნაცნობი ანრი ბრონკანია.

არის სხვა ვარიანტებიც. როგორც ზაზა ქასაშვილმა გვითხრა, მაგრაქველიძე საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონს, ელიტარულ „ტულუზს" გაესინჯა და იქაურებს თავიც მოაწონა. ყველაზე სავარაუდოა, რომ მამუკა სწორედ „ტულუზში" გააგრძელებს კარიერას. რა ვადით, ეს გამოძიების პასუხზეა დამოკიდებული.

„ტულუზის" გარდა შერკინების ბურჯს ეძებს „მონპელიე", რომელიც ბრგე ქართველით დაინტერესდა და მზადაა, კონტრაქტი დაუყოვნებლივ გაუფორმოს.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხენთა თამაშების გახსნა

მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები გაიხსნა ესპანეთის უმშვენიერეს ხერეს დე ლა ფრონტერაში. ამ სურათზე ხედავთ ორ უკოხტავეს ანდალუზიურ ცხენს. თამაშების გახსნის ცერემონიალი სამხრეთ ესპანეთის მზის ქვეშ ულამაზესი იყო. თამაშები 22 სექტემბრამდე გასტანს.



REUTERS ხერეს დე ლა ფრონტერადან



# ესტებანებისას

ლამის ვერცხლის თარიღი, ოცდაოთხწლიანი ერთობა აღნიშნეს გლორია და ემილიო ესტებანებმა. იმ დღეებშივე გლორიას დაბადების დღეც იყო და მაიამის კუბურ კაფე „ბანგოსში" კაი დროსტარებაც გამართეს. იქ იყვნენ მუჰამედ ალი და უილ სმიტი, რომელმაც მუჰამედის როლი შეასრულა ფილმ „ალიში".

# იარი გულზე

„აიაქსის" ფანებს ისე გაუხარდათ იარი ლიტმანენის თავის ძველ კლუბში დაბრუნება, რომ პირდაპირ გულის ფიცარზე ატოვებინებენ ავტოგრაფებს. მით უმეტეს, თუ იმავ ფიცარზე თავად ლიტმანენის სახეა ამოსვირინგებული სამუდამოდ.



REUTERS ამსტერდამიდან



# მშვიდობა თქვენდაო

ჟან ბელივუ ასეთი კაცია: ორი წელიწადია, ფეხით უვლის გარს დედამიწას და ითხოვს მშვიდობას და ბავშვთა კარგად ყოფნას. ახირებულ და კეთილ კანადელს გეგმად 80 ქვეყნის მოვლა ჰქონია.



REUTERS მურსიიდან

# ხოსება მურსიაში

ხოსება ბელოკი „ვუელტას" ველოტურს ლიდერობს. მესამე ეტაპის შემდეგ, ბოლო რომ მურსიაში ჰქონდა, ბელოკიმ პრიზი თანამემამულე ჩოგბურთელის, ხუან კარლოს ფერეროსგან მიიღო. თასი რაღაც სხვას თუ გულისხმობს, თორემ ეტაპი იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ მოიგო. „ვუელტას" მონაწილეებს წინ 18 ეტაპი აქვთ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge